საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 15 აპრილი. 1920

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი, მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15X3 სტრიქონი ხუთით 100 მანეთი. წინასწარ განცხადებები არ იბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: გრიბოედოვის ქ. 6, [illegible] 13-[illegible]. ტელეფონი 16—62

№ 83 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 83

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნიფადორა, მამა ტიტო, დები: ნინა შილაკაძისა, ნადია და ალექსანდრა ლეჟავეები, ძმები: ექვთიმე, კოლია, სამუილი, ვლადიმერ, დავით და გრიშა ლეჟავეები, სიძე სერგეი და დისწული ლეონარდო შილაკაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვლილ

გაიანე ლეჟავას

უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 15 აპრილს ნაშუადღევის 3 საათზე სოფელ დიდ ჯიხაიშში, ეზოს ხატის ეკლესიაში. (1265 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ბებია ჯასიმე, დეიდები მაკრინე შილაკაძისა, ოლია შენგელიასი და მელანია ლეჟავიშვილისა, ბიძები: ლეონტი შილაკაძე, კოსტა შენგელია და კოწია ლეჟავიშვილი, დეიდაშვილები: ეტერი, ვანიჩკა, ვერიჩკა და ნინო შილაკაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვლილს

გაიანე ლეჟავას

უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 15 აპრილს ნაშუადღევს 3 ს. სოფ. დიდ ჯიხაის ეზოს-ხატის ეკლესიაში.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი

სთხოვს ყველა იმათ, ვინც ძმათა სასაფლაოზე ბრძოლაში დახოცილ გვარდიელებს დაადგა რაგვი (აგრადა),

რომ ამა თვის ოცამდის აიღონ, რადგან მთავარ შტაბს არავისთვის ნებართვა არ მიუცია აგრადების დადგმის და ამ ქამად მთავარი შტაბის მიერ დაწყებულ მუშაობას ხეივნის გასაშენებლად, სასაფლაოების [illegible] დაგეგმვას, საერთო ძეგლის დასადგმელად, რომლის დადგმაც მთავარ შტაბს აქვს განზრახული—ძალიან ხელს უშლის. (1264 2—3)

მთავრობის საქმეთა მმართველობა ამით საჩქაროდ იწვევს

მანქანაზე გადამწერ

გამოცდილ პირს. მთხოვნელი მიიღება კონკურსით. თხოვნის შეტანა შეიძლება მთავრობის საქმეთა მმართველობაში (რუსთაველის პრ. მთავრობის სახლი) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (1263 3—3)

18 აპრილს, დილის 10 ს., ქ. გორში, სამაზრო ერობის სახელოსნოში [illegible] ბაზარ-ბინაზე, მოწვეულია

გორის მაზრის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კონფერენცია.

განსახილველი საკითხები: მოხსენებები: 1) თანამედროვე მომენტზე, 2) ცენტრალური კომიტეტისა, 3) დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციისა, 4) გორის სამაზრო ერობის ს. დ. ფრაქციისა, 5) სახ. გვარდიის საოლქო შტაბისა, 6) გასული წლის პარტიული მუშაობის ანგარიში მაზრაში, 7) მაზრაში პარტიული მუშაობა მომავალში, 8) ს. ს. დ. მ. პ. მომავალ პარტიულ ყრილობაზე დასმული საკითხების წინასწარი განხილვა, 9) სამაზრო კომიტეტის არჩევნები. საერთო წარმომადგენლები თავის დროზე გამოცხადდნენ.

გორის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი. (უფ.—3—3)

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს სამსახურში აგრონომებს, მევენახეობის და მერძეობის ინსტრუქტორებს. თხოვნები მიიღება შემდეგი მისამართით: ქ. გორი, სამაზრო ერობის გამგეობა. (1258—6—2)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

შემოწმებული თფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.

(ყვითელი, ფრანგული ჯიში)

„დ. დ. დიქანოზიშვილის“ ფირმისა.

[illegible] ქუჩა, № 22, ბინა მექანიკოშვილისა. (1188 6—6)

ბოლშევიკების „სოციალიზმი“

მოსკოვში დღეს გამართულია „კომუნისტთა“ პარტიული ყრილობა. როგორც რადიო ცნობის ნაწყვეტიდან ჩანს, ყრილობას მიუღია რეზოლუცია, რომელშიაც ქვეყნის წინაშე გადაშლილია მთელი გეგმა სახელმწიფოს აშენებისა სოციალისტურ ნიადაგზე. ბოლშევიკური სიტყვა ბევრი გაგვიგონია და საქმე ბევრი გვინახავს და ყველაფრიდან მუდამ ის დასკვნა გამოგვიტანია, რომ ისინი არიან წმინდა წყლის უტოპისტები, ბლანკისტები, მაგრამ ბოლშევიზმის ამნაირი დახასიათების სისწორე იქნება ისე აშკარად არსადან ჩანდეს, როგორც ხსენებულ რეზოლუციიდან.

ჩვენთვის ყურადღება მისაქცევია რეზოლუციის ზოგიერთი ადგილი, როგორც ვთქვით, ყრილობის თვალში, უმნიშვნელო, მაგრამ ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანი. რეზოლუცია სხვათა შორის, გაკვრით, ორიოდე სიტყვით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ ამ ნახევარ წლის წინ დაწყებული „შრომის მილიტარიზაცია“, რომლითაც მის აქტორებმა ქვეყანა გააყრუეს და რომელზედაც ისინი ამყარებდნენ მთელს თავის იმედებს, უბრალოდ რომ ვთქვათ, კოტრიაობით გათავებულა: „ყრილობა მოელოდა [illegible] თვის გადატრიალების ბიუროკრატიული და ცენტრალური დაწესებულებანი, რომ ისინი დიდ იმედებს არ ამყარებდნენ მიღწეულ რეზულტატებზე“.

მომავალში ყრილობა გვპირდება, რომ პარტია შეადგენს და „განახორციელებს ერთს სამეურნეო გეგმას“, საზოგადოების სოციალისტურ ნიადაგზე მოწყობისას. „ხაზმების“, „განკარგულებების“ საშუალებით მოკლე დროში შემოღება სოციალიზმისა ახალი არა არის: მე 19 საუკუნის განმავლობაში ამნაირი ცდა ბევრი გვინახავს, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტები მუდამ გამოდიოდა მეშჩანური უტოპისტების ან (როგორც იგივე მეშჩანური უტოპისტებია) ანარქისტების წრეებიდან. მარქსიზმმა ამ უტოპიზმს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა და ნახევარ საუკუნის ბრძოლაში იგი დაამარცხა და ისტორიის არქივს ჩააბარა. მაგრამ რამაც დრო მოიჭამა ეკონომიურად განვითარებულ ევროპაში, ის ცოცხლდება ეკონომიურად ჩამორჩენილ რუსეთში; რამაც დრო მოიჭამა წარმოების გაძლიერების ხანაში, ის იგივე ცოცხლდება წარმოების დაქვეითების დროს.

რაში მდგომარეობს ის ყოვლის მხსნელი „გეგმა“, რომლის შედგენით და განხორციელებაც ბოლშევიკები გვპირდებიან სოციალიზმის სუფევის დამკვიდრებას?

უნდა წვრილი კერძო წარმოება შეიცვალოს მსხვილი სახელმწიფოებრივი წარმოებით, აი ის დიდი აზრი იმ ახლებული და უბრალო პროექტისა, რომლის განხორციელებაც ამზადებენ მოსკოვის „კომუნისტები“: „უნდა ძლიერად ჯაფის დანაწილება, „კუსტარნიჩესტვო“ (წვრილი მრეწველობა, შრომის პარტიზანობა“, ამბობს რეზოლუცია—მაგრამ მთელი საიდუმლოება სწორედ იმაშია, როგორ უნდა „ვძლიოთ“ ყველა ეს, ე. ი. როგორ უნდა შემოვიღოთ მსხვილი სახელმწიფოებრივი წარმოება წვრილ კერძო წარმოების ადგილას? მაგრამ „კომუნისტები“ სიძნელის წინაშე არ დგებიან და ამის საშუალებაც ადვილად ხომ ჰპოვნიან: „მეურნეობის მილიტარიზაცია“, აი ეს ზომა. მაგრამ ზემოთ აღნიშნულიდან ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ყრილობა თვითონვე აღიარებს ამხანაგებს, ზემოხსენებული იმედები არ დაამყარა შრომის მილიტარიზაციის გზით [illegible]. რა გამოდის მაშასადამე? შრომის მილიტარიზაციამ მიზანს ვერ მიაღწია; ამის უნდა უშველოს მსხვილი წარმოების შემოღებამ; მაგრამ მსხვილი წარმოების განხორციელება შეიძლება მხოლოდ შრომის მილიტარიზაციით. ასეთ მოჯადოებულ წრეშია ჩავარდნილი სოციალიზმის ხელმძღვანელი პარტია.

კარგად რომ ჩავუკვირდეთ მთავარ დებულებებს იმ პროგრამისას, რომელიც რეზოლუციაში გატარებულა, [illegible] ლის შემოღებაც განზრახული აქვს ყრილობას, ძალიან დაშორებულია ნამდვილ სოციალიზმთან. რამდენადაც მიახლოვნენ „ხოლ დეპოს“ მეცნიერებმა დასახელებულ მიზნის მიხწევა, სწორეთ ისინი იმ სოციალიზმს კი არ შემოიღებენ, რომელზედაც ჩვენ ვოცნებობთ და რომელიც თავის დროზე დახატული ჰქონდა ხელში [illegible] პროლეტარიატს,—მათი „სოციალიზმი“ იქნება პირწავარდნილი „სახელმწიფო სოციალიზმი“, ე. ი. ის, რის შემოღებასაც დიდი ხანია ქადაგებენ ძლიერი სახელმწიფოების ლიბერალური პარტიები. მოსკოვის „კომუნისტების“ „სოციალისტური“ განზრახვები სწორედ წარმოების იმ დარგებს სწვდება, რომელიც შეიარაღებით ძნელი არ არის მოეცეს სახელმწიფოებრივი ხასიათი: ეს არის ელექტრონულ ძალის მისაწოდებელი სადგურების აშენება, რკინის გზების და ტრანსპორტის ელექტრონულ ძალაზე გადაყვანა, სათბობ მასალის დამზადება, მაღაროების, ქარხნების მოწყობა და სხვა. თუ ყველა ამის განხორციელებას „სოციალისტური წესწყობილება“ დაერქმევა, ბევრი სახელმწიფო მოიპოვება, სადაც ეს დარგები სახელმწიფოებრივ ნიადაგზეა მოწყობილი და რომლებსაც მაშასადამე „ბოლშევიკებისთვის“ წინ წაუსწრიათ სოციალიზმის განხორციელება.

„კომუნისტურ“ პროგრამის მიზანია აგრეთვე მეთოდები ექსპლოატაციის იმგვარ საშუალებისათვის, რომელსაც სოციალიზმი „სახელმწიფო სოციალიზმს“, როგორც ისინი „მუშათა სოციალიზმის“ სახელით ასაღებენ. რა საშუალებაა საჭირო, რომ მუშებმა იმუშაონ იმაზე, რამდენსაც მოითხოვს დანგრეულ წარმოების აღდგენა? აქ კაპიტალიზე კომუნისტები აღნიშნავენ, რომ „ყოველ სოციალურ წესწყობილებას (მონურს, ბატონ-ყმურს, კაპიტალისტურს) თავისი წესები და ზომები ჰქონია იმისთვის, რომ ხალხი იძულებით აემუშავებინა და შრომისათვის ადგენდა მუშაობის კლასების საზღვრებს“. „ბოლშევიკიზმ“ უნდა გამონახოს „თავისი საკუთარი მეთოდები“. ამ მეთოდებში ყველა ახალი არ არის: ეს არის „ინდივიდუალისტური გეგმები“, რომელიც კაპიტალისტური წყობილება შიაც არ იყო დაწყნარებული; ეს არის „რეპრესიები უსაქმურ - პარაზიტების“ მიმართ, რომელიც ყოველს გზაზე იყო კარგად ცნობილი „ახალი“ საშუალებაა, „კომუნისტების“ აზრით, „მეტოქეობა შრომაში“. ეს მეტოქეობა უნდა ხელოვნურად იქნას შექმნილი „მრეწველობის სისტემით“. „იმ დრომდის, სანამ საბჭოთა რუსეთს არ ექნება საკმარისი საქონელი, მუშა უფრო მეტად უნდა იყოს დაჯილდოვებული, ვიდრე ზარმაცი“. პრაქტიკაზე ეს „ახალი“ ზომა დიდი ხანია აღნიშნულია კაპიტალისტურ წარმოებაში. იმის დადგენა, თუ რომელი მუშაა „ბეჯითი“ და რომელი „ზარმაცი“, შეიძლება მხოლოდ ერთის საშუალებით: მათი მუშაობის ნაყოფის გაზომვით. აქ კარი ეღება ამნაირ გაზომვის ჩვეულებრივ საშუალებებს: ნარდით მუშაობას (რაც „ბოლშევიკებმა“ დიდი ხანია შემოიღეს), სამუშაო დროის გადიდებას (რაც „ბოლშევიკებმა“ დიდი ხანია შემოიღეს), ე. წ. „ტეილორის სისტემას“, „ოქროს გამომუშავების სისტემას“ და სხვა.

მოსკოვის „კომუნისტები“ დღეს იმ გზაზე არიან დამდგარი, რომ მუშების ექსპლოატაციის საქმეში ისინი კიდევ ბევრს იპოვიან „ახალ“ საშუალებებს გამონახავენ, რაც რუსეთის მუშას მოაგონებს ძველს, კაპიტალისტური დროის შრომის პირობებს.

დამფუძნებელი კრება

(9 აპრილი)

ყარაბახის გარშემო,

(დასასრული)

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

აკ. ჩხენკელის შემდეგ ლაპარაკობენ ლ. შენგელია, გრ. ვეშაპელი და გ. გვაზავა, ყველა ორატორები აღნიშნავენ იმ საფრთხეს, რომელსაც შექმნილ პოლიტიკურ პირობებში ყარაბახის ამბები [illegible] ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. ორატორები ხაზს უსვამენ ჩრდილოეთის საფრთხეს და აღნიშნავენ, რომ ამიერ-კავკასიას ამ ქამად სჭირია სიმშვიდე, სოლიდარობით მოქმედება და სრული მშვიდობა. ისინი ერთნაირად დაჟინებით სახავენ აზერბეიჯანს და სომხეთს და მოითხოვენ ამ ორ მეზობელთა შორის არსებულ უთანხმოების და შეიარაღებული შეტაკების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას.

შემდეგ სიტყვას ამბობს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგ. გეგეჭკორი.

ევგ. გეგეჭკორის სიტყვა.

ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენთვის ამჟამად საყურადღებო არ არის ამ ქამად მომხდარი პასუხისმგებლობისა, თუ ვინ დაიწყო ეს შეტაკება, ვინ არის დამნაშავე და სხვ., არა—ჩვენთვის სასიცოცხლო და ფრიად საყურადღებოა ის სამწუხარო ფაქტი, რომელსაც ამ ქამად ყარაბახში აქვს ადგილი. ეს ფაქტი კი შემდეგს გვეუბნება: ამიერ კავკასიის რესპუბლიკების მეთაურობა დარღვეულია. ორი ელემენტი ერთიმეორეს ებრძვის, ეს ბრძოლა თანდათან მეტს ხასიათს იღებს და თუ კიდევ გაიზარდა და მისი ლიკვიდაცია დროზე ვერ შევძელით, შეიძლება ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღოს და დადგეს საკითხი ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ყოფნა არ ყოფნისა, და ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როდესაც ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს ჩრდილოეთიდან დიდი საფრთხე უახლოვდება. ასეთ დროს საქართველოს არ შეუძლია განზე გადგეს და ამ ორი მეზობლის დავას შორიდან უყუროს. მთავრობა გადაწყვეტილია ყოველგვარი ზომები მიიღოს და ის საფრთხე, რომელსაც ყარაბახის ამბები უქადიან ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს, თავიდან აიცილოს საქართველომ. ორატორი ვრცლად ეხება იმას, თუ რა მიზეზმა გამოიწვია ყარაბახის ამბების განვითარება და აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობას არ შეუძლია ცენტრალური ზომები არ მიიღოს ყარაბახის ამბების ლიკვიდაციის მოსახერხებლად. მინისტრი აღნიშნავს ყველა იმ ნაბიჯებს, რომელიც ანალოგიურ შემთხვევებში მიუღია საქართველოს მთავრობას და ამბობს: თქვენ, ალბათ, გახსოვთ ზანგეზურის ამბები. ჩვენ ეს გავიგეთ 22 ოქტომბერს, 23 ოქტომბერს ჩვენ მივმართეთ სომხეთს და აზერბეიჯანს და მოვითხოვეთ მათგან სადავო საკითხების მორიგებით გადაწყვეტა. როდესაც ჩვენ გავიგეთ, რომ ეს ჩვენი წინადადება ნიადაგს მოკლებული არ არის, ჩვენ ორი ნოტით მივმართეთ ორივე მთავრობას, სადაც ვარკვევდით, სადაც მოვითხოვდით... (გვაზავა. მოითხოვეთ და არ შეუძლებელია!?) ჩვენ არ ვიცით რა ცნობის შეუძლებლობას ბ. გვაზავა. (გვაზავა. ძალიან სამწუხაროა!) თუ შეუძლებლობა ნიშნავს იმას, რომ თქვენ მხოლოდ წინადადებას აძლევთ და თუ ეს იქნება მიღებული ხომ კარგი და თუ არა, თქვენ თქვენს ადგილზედ ჯდებით, ამას ჩვენი მთავრობა ვერ იკისრებდა და ვერც იკისრებს. ჩვენ მოვითხოვეთ, რადგან ეს საკითხი არ არის მხოლოდ ზანგეზურის და ყარაბახის საკითხი, ეს ჩვენი საკითხიც არის, ჩვენი ხალხის სასიცოცხლო საკითხი. (გვაზავა. ეს ნიშნავს შინაურ საქმეებში ჩარევა!)

ლაპარაკობენ ბ. გვაზავას, რომ არც აზერბეიჯანს და არც სომხეთს ამ ჩვენს ჩარევის გამო პროტესტი არ განუცხადებია და არც ერთს ამაში შინაურ საქმეში ჩარევა არ დაუნახავს. კიდევ მეტს ვიტყვი. თქვენ იცით, რომ ეს ჩვენი ენერგიული ჩარევა გამარჯვებით დაგვირგვინდა და 23 ნოემბერს ჩვენ მივიღეთ ხელშეკრულება, სადაც იყო ჩათქმული ის, რასაც ჩვენ ჩვენი ნოტით ვთხოულობდით. მე 4 ე მუხლი იმ ხელშეკრულებისა სწორედ ლაპარაკობს იმაზე, რომ ყველა სადავო საკითხები უნდა გადაწყდეს ან მორიგებით, ან საარბიტრაჟო არბიტრაჟით. რას სწერს ახლა ბ. გვაზავა მე არ ვიცი. (გვაზავა. მე ვწუხვარ ჩვენს საერთო ინტერესებზე)

ჩვენი ინტერესი სწორედ მოითხოვს [illegible] თვის დამენახვებინა, თუ რა პოზიციას იჭერს ჩვენი მთავრობა, რა ზომებს ღებულობდა, რომ ჩვენში ამიერ-კავკასიის ერთა შორის უთანხმოებას ადგილი არა ჰქონოდა, მაგრამ თქვენ იცით, რომ მიუხედავად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდვა 23 ნოემბერს 1919 წ. და რომლის მოწმეებად არიან აღნიშნული საქართველოს საგარეო მინისტრი და ამერიკის უმაღლესი კომისარის მოადგილე ამერიკის პოლკოვნიკი რეი. მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებისა ჩვენ გვაქვს საქმე ამ ამბების რეციდივთან. ჩვენი პოზიცია იგივე დარჩა, რაც იყო წინეთ და სწორედ ჩვენი მთავრობის თავმჯდომარის ნათქვამი გახლავთ გამოძახილი ჩვენი პოლიტიკისა. უპირველეს ყოვლისა, იმართება წინადადებით მისიების შეყვანა, რომ თავის მხრით მათაც მიიღონ ზომები, (აქ არავითარი ჩარევა არ ყოფილა!) რომ ეს საქმე ყარაბახის ინციდენტი მორიგებით გათავებულიყო. ეს იყო და არის. აქ არავითარი შინაურ საქმეებში ჩარევას არავითარი ადგილი არა ჰქონია და არც ექნება. რაც შეეხება თვით ამ საკითხის გადაწყვეტას, ასეთი იყო მიღებული ზომები, რომ საერთოდ, საზოგადოდ ამიერ კავკასიის კონფერენცია შემდგარიყო და თქვენ იცით, რომ ეს კონფერენცია შედგება ხვალ, მაგრამ, სამწუხაროდ, მე არა მაქვს არავითარი უფლება განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ ეს კონფერენცია სასურველ შედეგებს მიაღწევს და ამიერ-კავკასიაში მშვიდობიანობა დამყარდება. ამის საფუძველი ჩვენ არ გვაქვს. მხოლოდ ერთი ვიტყვით, რომ საქართველოს მთავრობა ყოველ ზომებს მიიღებს, ყოველ ღონეს იხმარს, რომ ეს საშინელი უბედურება, [illegible] არ გადაიქცეს. ამ მხრივ ჩვენ ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ. (ვეშაპელი: კონკრეტულად?)

კონკრეტულად ჩვენ შევიტანეთ წინადადება, რომ ჩვენ თანახმად ჩვენი შორის დადებულ ხელშეკრულებისა, რომ ყველა სადავო საკითხები გადაწყდეს მორიგებით ან არბიტრაჟით! (ვეშაპელი: ფორმულობა?)

როდესაც ასეთი დიდ გამოსვლები ფორმალური ხდებოდა და ხელშეკრულება ფურცლებზე ქადაგებით, თავის თავად ცხადია, რომ მაშინ მართალი იყო ჩვენი სკეპტიკოსები უნდა გვებოდეთ და ამ კონფერენციის დადგენილებით, კარგი შედეგების იმედი არ უნდა გვქონდეს. ამაზე მოგახსენებთ, მოქალაქენო, შემოკლების მეტი საშუალება ჩვენ არ გვაქვს. (ვეშაპელი: მეც მაგას ვამბობ!) ამ საშუალებას ჩვენ ვიხმართ. მე აქ გამოვდივარ, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, მე ვალდებული ვარ ჩემს თავს დავუსვდე კრებას მოვახსენო, რომ მთავრობა ამოწურავს ყოველნაირ საშუალებას, რომ ეს საქმე მოაგვაროს. ის თავის ვალს შეასრულებს და რომ ვერ მოაგვაროს და თუ ამას შესაფერისი შედეგები არ მოჰყვება, რასაკვირველია, ჩვენ ამისათვის პასუხისმგებლები ვერ ვიქნებით. შეიძლება ვეშაპელი, როდესაც მან ბრძანა, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ მიიღო შესაფერისი ზომები ყარაბახის ისტორიაში. მე უნდა აღვნიშნო თქვენს წინაშე, რომ ეს ასე არ არის. მართალია ჩვენ გვქონდა ცნობა და აგრეთვე გვქონდა საქმე რეალურ ფაქტებთან, რომ მეორეც გვარწმუნებდა იმაში, რომ ჩრდილოეთის რაიონში ხდება მეტად [illegible] ფაქტები და აგრეთვე მათი განდევნა. [illegible] სახელმწიფო საზღვრებს. მთავრობამ თავის წარმომადგენლის საშუალებით ერევანში წარუდგინა სომხეთის მთავრობას თავისი პროტესტი, სადაც ის აღნიშნავდა ასეთ მოქმედების დაუშვებლობას. (ვეშაპელი. გამოქვეყნებული არ ყოფილა). მე თქვენ მოგახსენებთ ფაქტს, ხოლო ყველაფერის გამოქვეყნება, რაც ხდება, საჭირო არ არის. ის ზომები, რომელსაც ჩვენ მივმართეთ ყარსის ოლქში და [illegible] ისტორიაში, ახლოვეა ზომები მივიღეთ მეორე სახელმწიფოშიც. ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია ისეთი იყო, რომელიც [illegible] მოგვეთხოვა. ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც შეგვეძლო, ჩვენ გავაკეთეთ და თუ მართლაც მორიგებამ იმედიანად გადაჭრა ფაქტი ამიერ-კავკასიის ფარგლებში, რომ მისი აღმოჩენება ვერ შევძელით, თავის თავად ცხადია, რომ აქ დანაშაული საქართველოს მთავრობას არ მიუძღვის. ასეთია, მოქალაქენო, ჩვენი აზრი და ვფიქრობთ, რომ თვითდაცვის ინსტინქტი აიძულებს როგორც აზერბეიჯანს ისე სომხეთის მთავრობას, რომ დაუბრუნდნენ სწორეთ იმ მეთოდს, რომელიც ხელშეკრულებაში არის აღნიშნული, ტერიტორიალური საკითხების გადაჭრის შესახებ. ასეთ იმედს არ ვკარგავ და მომავალი მუშაობა კონფერენციისა გვიჩვენებს თავის შედეგებს, ვიმედოვნებ, მთავრობა ყველა საჭირო ზომებს მიიღებს ამ ამბების ლიკვიდაციით. (ტაში).

შემდეგ ილაპარაკეს [illegible] და თ. ღლონტმა. დასასრულ მიღებულ იქნა ის რეზოლუცია, რომელიც ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი.

ორი თვე კავკასში

III

ასეთ ყოფაში მიმდინარეობდა თერგის ოლქის და მის მეზობელ ხალხების ცხოვრება, მაგრამ ამავე დროს კიდევ უფრო სასინტერესო ფრონტი და მისი განვითარების პროცესი.

დენიკინის საერთო ფრონტიდან გამოყოფილი იყო ჩრდილო კავკასია და ამ რაიონში მოქმედი ჯარების მთავარსარდალი იყო გენ. ერდელი, რომელიც ამავე დროს ითვლებოდა ამ მხარის მთავარმმართველადაც.

მისი რეზიდენცია ქ. პეტროვსკში იყო, მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენ კავკასში ჩავედით, თვალი კავკასიიდან ეჭირა, როგორც ისეთ პუნქტზე, საიდანაც ადვილად შეიძლება გახარჯვა.

კავკასში იმ დროს მეტად [illegible] იდგა, უფრო [illegible] ზონები იდგა პიატიგორსკში, გროზნოში და პეტროვსკში, ხოლო მთავარი ძალები იყო მოზდოკის პუნქტებში, აქედან ფრონტზე ფრონტის უშუალო მიმართულებები იყო სამი: სტავროპოლი, [illegible] და ყიზლიარი.

[illegible] იყო და ისიც [illegible], თუ [illegible] მოხალისეებმა: [illegible] ბოლშევიკებს მოადგა ქალაქს, მაგრამ ქუჩები ხალხით და ჯარით [illegible] იყო, თითქმის მათზე მოდიოდა [illegible]

დღეს

საფრანგეთ-ინგლისს შორის მომხდარი ინციდენტი გერმანიის შესახებ შეთანხმებით დასრულდა, რითაც ფრანგული პრესა დიდათ კმაყოფილია.

ინგლისური ცნობით იტალიის ზოგიერთ ქალაქებში საერთო გაფიცვები დაიწყო. ბოლონიაში პოლიციელებთან შეტაკების დროს მოკლულია 7, დაჭრილია მრავალი.

ვლადივასტოკში იაპონელებმა იარაღი აჰყარეს რევოლიუციონურ ძალებს.

ბოლშევიკების ცნობით კოპენჰაგენში შვეციის კომერსანტები და მრეწველები მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთან სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად.

კორპუსი, რომლის ძლევა არავის შეეძლო, და ამიტომ ან უნდა მას მიმხრობოდა და ან უნდა დროზე გაქცეულიყო. ხალხიდანაც და ჯარიდანაც უმრავლესობამ აირჩია მეორე საშუალება, უმცირესობამ კი შეიგნო მასთან მცირე გუნდს, რომელიც მაშინვე შეუდგა მდიდარ რაიონიდან სურსათისა და სხვა სიმდიდრის გატანას.

იცოდნენ ეს, მაგრამ მის უკან დაბრუნებას მაინც ვერ ახერხებდნენ იმიტომ, რომ იერიში მიმტანი არავინ იყო, ძლიერების აღარ ჰქონდა ბრძოლის მადა „უძლეველ“ ჯართან და იდგა ფრონტი უძრავად მანამდე, სანამ ბოლშევიკები არ მოახლოვდებოდნენ, ხოლო მათ მოახლოვებისა და სროლის ხმის გაგონებისთანავე დაიძროდა ჯარი მცხოვრებთა ერთი ნაწილის თანხლებით (ჯარი ისე ჩქარა და მოულოდნელად სტოვებდა ხოლმე ადგილებს, რომ მცხოვრებთა უმეტესს ნაწილს მხოლოდ მცირე ნაწილი ასწრებდა გაქცევას) და წამოვიდოდა აქეთ შორს, რომელიმე სამშვიდობო პუნქტზე, რომ იქ დამდგარიყო უძრავად ასეთ მორიგ შემთხვევამდე. წინ წასვლაზე კი არავინ ფიქრობდა.

იყო ასეთი მაგალითი სტავროპოლის ერთი რაიონიდან: მთელი კვირეები იდგა თერგის მოწინააღმდეგე ჯარი ერთი-ერთის პირდაპირ: ერთმანეთის არსებობას იცოდნენ შორიდან მოსული სროლის ხმით; ბოლოს ნათელი და წყნარი დღეები დგება და მოქმედებას იწყებს მოხალისეთა სადაზვერვო აეროპლანები; მფრინავები აღმოაჩენენ ბოლშევიკების ხაზს, უთითებენ ცენტრსა ჩვენი ჯარისას, და დაუშენენ ბომბებს; და უჩვენებენ, თუ სად მიიწევს მტერი, მაგრამ მათ არავინ მისდევს; ბოლოს ჩამოფრინდებიან და უჩივიან ჯარს, რომ ის არ საჭიროებს შემოტევით, მაგრამ დენიკინის ჯარი ასე ასკვნის: ჩვენ მთელი რიგი კვირეები თვალყურს ვადევნებთ, რომ ბოლშევიკები არ გამოვიდნენ; ხოლო ისინი უკან წავიდნენ, აქეთ აღარ მოდიან და [illegible] ჯანაბაში წასულან, ჩვენ კი უაზროდ [illegible] ლოდინით და მიაშურეს სახლებს.

სამოქალაქო ფრონტი, როგორც ასეთი, აღარ იყო; იყო მხოლოდ ჯარები და ეს ჯარები იდგა ამა თუ იმ ქალაქში რკინის გზის ხაზზე. თითქოს უდგა ამ გზაზე ბოლშევიკებს, იცავდა ფრონტს, ნამდვილათ კი, იცავდა მარტო თავის თავს, გზას იქით ეგულებოდა თუ გადაბიჯებდა, ასე მაგალითად, ერდელის ჯარს, არც თუ მცირეს, ეჭირა სტავროპოლი, მაგრამ სტავროპოლის გუბერნია არავის არ ეჭირა და არავის არ ემორჩილებოდა. და მოლოდინში ამ „ჯარს“ ბოლშევიკები სულ ადვილად, ხმაურით [illegible] ვერც ეწეოდნენ. [illegible] ასწრებდნენ მოახლოვებას ამა თუ იმ პუნქტზე, რომ იქიდან მოხალისენი გარბოდნენ.

ძალზე გავრცელებული იყო დეზერტირობა. ხშირი იყო მთელი ნაწილის დაშლის მაგალითი. ერთმა [illegible] პოლკის აფიცერმა შემდეგი გვიამბო: მათი პოლკი, რომელმაც სახელი გაითქვა ჩეჩნების დაწყნარებაში, გაგზავნეს სტავროპოლში; მისი რიცხვი ქალაქს იქით პირდაპირ ფრონტზე მოხვდა, მაგრამ იქ ბევრი არ გაჩერებულა, ჩქარა წავიდა წამოვიდა, მათ [illegible] სტავროპოლის გუბერნიის გლეხთა სულიერი განწყობილება და ლოზუნგი: ძირს ომი; საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს რაიონში დარჩენილმა ყველა ჯარისკაცმა გადასწყვიტა წასვლა, შეკრბნენ თავიანთ ცენტრში, [illegible] აფიცრების ცხენები [illegible]: ამდენი ხანი ერთად ვიარეთ, ეხლა ჩვენ მივდივართ და არ გეწყინოთ, თქვენ აქ დარჩით, მშვიდობით [illegible]!..

დენიკინის ჯარის დაშლას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ხალხში მის წინააღმდეგ [illegible] აღშფოთება [illegible] გამოიწვია. მთელი კომპანია იყო შიგნით, როგორც სიტყვით, აგრეთვე [illegible] ყველა იმ ულტრა-რეაქციონური და უბეში პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახასიათებდა ერთი სიტყვა,—„დენიკინშჩინა“ ამ ოპოზიციის მიზანი იყო მოხალისეთა და საზოგადოებათა ანტიბოლშევიკური მოძრაობის გაჯანსაღება, მაგრამ რადგან იმდენი ძალა და გამბედაობა ვერ გამოიჩინეს, რომ „დენიკინშჩინა“ და დენიკინი სულ მოეშორებინათ თავიდან, ამ ბრძოლამ მხოლოდ დააჩქარა ჯარის საბოლოო გახრწნა. უმნიშნელო როლს არც პიროვნებათა (თანამდებობის პირთა) ინტრიგები თამაშობდა. ყველა ცდილობდა მეორისთვის ძირი გამოეთხარა, მისი ადგილი დაეჭირა და გაბატონებულიყო.

მართალია გლეხი დენიკინის ჯარში საზოგადოთ და ერდელის ნაწილებში კერძოთ, საერთო [illegible] იყო. მექრთამეობა თანამდებობის პირთა, თითქმის მოვალეობა იყო იძარცვებოდა დიდი და პატარაც. რკინის გზაზე თუ ვინმე ლაპარაკობდა ვაგონის შოვნას, დიდი ქრთამებითა და [illegible], თითონვე უნდა გაეჭედა თავის საქონელი, პასუხს არავინ აგებდა. გზაში თუ ჯარი შეესწრებოდა, ჩვეულებრივათ საქონლის ერთ ნაწილს წაართმევდა. ჩვენ თითონ ვნახეთ სადგურ [illegible]ში, [illegible] ორმოცი ცარიელი და 8 სავსე ტომარა, მიუხედავათ იმისა, რომ რკინის გზის მოხელეებთან ერთად [illegible] ჩვენი [illegible], მეორე შემთხვევაში [illegible], ერთი მხრიდან რომ ჩვენი [illegible] სცდილობდა [illegible] ვაგონებს, მეორე მხრიდან [illegible] აფიცერი, [illegible] და როცა ჩვენ [illegible], [illegible] წინააღმდეგობისა [illegible] არ იყო [illegible].

ხედავდა ყველა ამას ხალხი და მოთმინებით, თავის ქვეყნით ამბობდა: და ესენი გვპირდებიან რუსეთის აღდგენას, მის გაყვავებას!!?

აქედან ადვილი გასაგებია, რომ სადაც ჯარი იდგა, ან გადიოდა და შეიძლებოდა, იქ უსათუოთ აჯანყებაც იყო. აჯანყება ხშირათ არა ბოლშევიკური, როგორც მას ბოლშევიკები და ხშირათ დენიკინელებიც ნათლავდნენ, არამედ ხალხური, სტიქიური, აღშფოთების შედეგი.

ასეთი აჯანყებები ჩვენი ქალაქში ყოველ დღე ხდებოდა სტავროპოლის გუბერნიის ხან ერთ, ხან მეორე რაიონებში. აჯანყებულ გლეხებთან შეერთდა მთიელები ან ბოლშევიკები, ან ქურდები, მაგრამ არც ერთს არ ჰქონდა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მათზე. იყო შემთხვევა, რომ მისულ ბოლშევიკს, რომელმაც თავი კომისრათ გამოაცხადა, სასოფლოდ (ნოგაის რაიონში) გლეხებმა პირდაპირ აცხადებდნენ: [illegible] ყველა და ყველაფერი [illegible]. ჩვენ გვინდა [illegible] თავისუფლება.

იყო წმინდა ბოლშევიკური აჯანყებაც—ადგილობრივ ბოლშევიკების გამოსვლა, მაგრამ ასეთები ყველა დამარცხებით თავდებოდა. ასეთი იყო მაგალითად პეტროვსკში, რაც ორი საათში ჩააქრეს (გამოვიდა და სადგური ჩაიგდო ხელში და ხელიდან 50 კაცმა, ხოლო გარნიზონი ათასზე მეტი კაცისაგან შესდგებოდა); ასეთი იყო ოსეთის ცენტრში [illegible] ბოლშევიკები—ქრისტიანების გამოსვლა, რაც იმავ დღეს თითონ ოსურმა პოლკმა ჩააქრო და სხვა. მაგრამ პეტროვსკის გამოსვლამ უფრო გულს მაინც არ ჩაიარა. ერდელის შტაბი და მისი მცველები შეეფარნენ და გადაიხვეწნენ კავკასში, რითაც [illegible] ფრონტსაც და მის მხრებსაც და დაიწყო ქალაქის დატოვება. პუნქტის პუნქტზე ჩაბარება. კი არ იფიქროთ ჩაბარება ბოლშევიკებისათვის, არა, ბოლშევიკები ამას ვერ ასწრობდნენ, აბარებდნენ ადგილობრივ აჯანყებულებს, რომლებიც ამა თუ იმ პუნქტიდან, საიდანაც უნდოდა მცირე ჯარის გარეკა, ღამე გაიპარებოდნენ და დილას სრულიად მოულოდნელად რამდენიმე კაცი, ხოლო რამდენიმე თვით ქალაქში დარჩენილი და თითქმის [illegible] და ყვიროდა: არიქა ხალხო, თავს უშველეთ, მოდიან, მოდიან...

ამის შემდეგ დენიკინის ყოფილებიდან არავინ არ კითხულობდა ვინ მოდიან, საიდან მოდიან, ან რამდენი მოდიან,—[illegible] და გარბოდნენ იქით, საიდანაც წინასწარ წავიდა წინამძღოლი და საიდანაც გზა არის საქართველოსაკენ..

ზ. დათიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ამიერ კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია

ოქმი № 1.

1920 წ. 9 აპრილს, აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის კონფერენციაზე დაესწრნენ: აზერბეიჯანის წარმომადგენლები: ფ. ხ. ხოისკი, [illegible] ჰაჯინსკი, რ. ბ. ვექილოვი. სომხეთის წარმომადგენლები: ა. ი. ოჰაჯანიანი, ტ. ა. ბეკზადიანი, ს. ა. ხაჩატურიანი. საქართველოს წარმომადგენლები: ე. პ. გეგეჭკორი, გ. ს. ლორთქიფანიძე, გ. თ. მახარაძე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა გახსნა რა სხდომა, საქართველოს დელეგაციის სახელით აღნიშნა [illegible], რომ კონფერენციის სხდომები საჯარო ყოფილიყო. მან შემდეგ განაცხადა: „წინანდელმა კონფერენციებმა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების შეხვედრამ [illegible] შედეგი არ მოგვცა. სამწუხაროთ, არა თუ ვერ შევთანხმდით,—მთელ რიგ საკითხებზე, არამედ—უნდა დავადასტუროთ, რომ ეროვნულ ტერიტორიალურ დავის ნიადაგზე სისხლის მღვრელ შეტაკებებს ადგილი აქვს [illegible] მასსის თვალში ნდობა და ავტორიტეტი არ დაეკარგა. ამიერ კავკასიის ყველა ხალხთა ადგილობრივ საზოგადოებრივ [illegible] სურს გაიგოს, სად არის წყარო, ყველა ამ [illegible] უბედურებისა, ამიტომ [illegible] საქართველოს დელეგაციის აზრით საჭიროა ამ კონფერენციის მუშაობა საჯაროთ [illegible]. ჩვენ ხალხს საშუალება უნდა ჰქონდეს თვალყური ადევნოს ყოველ ჩვენს ნაბიჯს, ყოველ ჩვენს სიტყვას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შემდეგი დაადგინეს: კონფერენციის საჯარო სხდომები ყოველთვის გამართული იქნება კონფერენციის მიერ ამის შესახებ მიღებულ დადგენილების თანახმად. ჩვეულებრივი სხდომები მოხდება პრესის წარმომადგენელთა დასწრებით იმ პირობით, რომ კონფერენციის სხდომების ოქმები, განხილული და მოწონებული პრეზიდიუმის მიერ, გადაეცემა პრესას დასაბეჭდათ სხდომების გათავების შემდეგ, ახლო ხანში.

შემდეგ ამოირჩიეს რა ამ სხდომის თავმჯდომარეთ ე. პ. გეგეჭკორი და გადავიდნენ რა დღიურ წესრიგის დამტკიცებაზე, საქართველოს და სომხეთის დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ სანამ სხვა საკითხების განხილვას შეუდგებოდეთ, პირველად ყოვლისა საჭიროა დაისვას საკითხი სისხლის მღვრელ შეტაკებების შეწყვეტის შესახებ, რომელსაც ეხლა ადგილი აქვს ყარაბაღში სომხებთა და მუსულმანთა შორის და რომელიც ფაქტიურად საომარ მოქმედებას წარმოადგენს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამ სისხლის ღვრის შეუჩერებლად კონფერენციას არ შეუძლია მშვიდობიან და ნაყოფიერ მუშაობას შეუდგეს, რადგან რაიმე საკითხის გარჩევა [illegible] ბრძოლის დროს, რომელსაც სისხლი იღვრება, ყოვლად შეუძლებელია.

აზერბეიჯანის რესპუბლიკის დელეგაციამ, პრინციპიალურათ არ გაილაშქრა რა სისხლის ღვრის შეწყვეტის აუცილებლობის წინააღმდეგ და სთვლის რა, რომ ეს საკითხი პირველ ყოვლისა უნდა იქნეს გარჩეული და გადაწყვეტილი, მასში სხვა ადგილების შეტანის სახით, სადაც შეტაკებები ხდება, როგორც მაგ. ორდუბათი, ნახიჩევანი, [illegible] და ყაზახში, განაცხადა: „ამ გვარ საკითხის განხილვისა და დასმისათვის მას თავის მთავრობისაგან სათანადო რწმუნება არა აქვს.

სომხეთის დელეგატებმა ეს განცხადება ჩათვალეს ფორმალურად. ისინი ფიქრობენ, რომ დელეგაცია, რომელსაც მინდობილი აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, რომელიც დასმულია ამ კონფერენციის განსახილველად, ამით უკვე არის უფლება მოსილი, რომ ეს საკითხი გადაწყვიტოს და ისინი მოითხოვენ ამ საკითხის ყველაზე უწინარეს და მალე გადაწყვეტას.

საქართველოს დელეგატებმა გამოსთქვეს რა მწუხარება იმის გამო, რომ ამ მძიმე და ცხარე საკითხის [illegible] ლი საზოგადოებრივობის ყურადღება აქვს მიპყრობილი, ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარის აზერბეიჯანის დელეგატებს არა აქვთ რწმუნება, განაცხადეს, რომ კონფერენცია [illegible] წინაშე, რომ [illegible] ამ საკითხის გადაწყვეტა აზერბეიჯანის დელეგაციის მიერ სათანადო რწმუნებულების მიღებამდე. აზერბეიჯანის დელეგატებმა დაადასტურეს კვლავ, რომ ისინი პრინციპიალურად არ არიან წინააღმდეგი ამ საკითხის დასმისა და განაცხადეს, რომ ისინი პირდაპირ მავთულებით დალაპარაკებიან თავის მთავრობას და შემდეგი დღისათვის პასუხს მიიღებენ.

სომხეთის დელეგატები სთვლიან რა ამ საკითხის დაყოვნებით გადადებას დამღუპველად ორივე ქვეყნის დემოკრატიისათვის, რომელიც ყოველ დღიურათ რამდენიმე ასეულ მსხვერპლს იძლევა, დაჟინებით მოითხოვენ აზერბეიჯანის მთავრობისაგან პასუხის მიღების დაჩქარებას.

კონფერენციამ [illegible] გამოსთქვა, რომ აზერბეიჯანის დელეგაციას ეცადოს იმავე დღის საღამოსთვის მიეღო პასუხი და თუ ეს მოხერხებული შეიქნებოდა, მაშინ, აუცილებლად შემდეგი სხდომისათვის მაინც. სხდომა დაინიშნა შაბათს, 10 აპრილს დილის 11 საათზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14 აპრილი.

ბოლშევიკების ცნობები

მეცხრე ყრილობაზე.

მეცხრე ყრილობის მიმართვა რ. კ. პ. ადგილობრივ ორგანიზაციებისადმი. ტრანსპორტის მდგომარეობა რჩება ძველებურათ... (ხელს უშლის მეორე სადგური).

პოლონელები და ბოლშევიკები.

გომელი. 5 აპრილი. მოზირის დაკავების დროს პოლონელები ეწეოდნენ ყაჩაღობას. რკინის გზელებს იძულებით ამუშავებდნენ. ზოპრუისკში წითელ არმიელ რკინის გზელებს პოლონელები მათრახებით სცემდნენ.

სათბობი მასალა ნავთისაგან.

ხარკოვი. 11 აპრილი. საბჭოთა ტექნიკურ-სამეურნეო ორგანიზაციაში აღიძრა კითხვა სანავთე ადგილის მატერიალების სათბობ მასალათ გამოყენების შესახებ. განსაკუთრებული საშუალებით შესაძლებელია ნავთისაგან მიიღონ მაგარი სათბობი მასალა, რომელიც [illegible] დიდ სითბოს მოგვცემს.

მდინარე ვოლგაზე.

რიბინსკი, 12. აპრ. ვოლგა ყინულისაგან განიწმინდა. ნაოსნობა აპრილის ბოლოში დაიწყება.

გლეხთა ყრილობა.

ოდესა. 10 აპრ. გუშინ ღამით ოდესაში დაიხურა გლეხთა ყრილობა, ყრილობაზე ყველა კითხვებში ერთსულოვნება სუფევდა.

ურალზე.

ეკატერინბურგში აღიძრა კითხვა [illegible] შესახებ ნადეჟდინის რაიონში მუშაობენ ორი ზედმეტ საათს. ზედმეტი სამუშაოს დროს მუშათა შორის [illegible] შეჯიბრება ხდება. 1500 მოხალისე კომუნისტზე მეტი მუშაობდა, მუშაობა იწარმოებდა 5 ს. საღამოს 8 საათამდე რკინის გზაზე, სახელოსნოებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში.

პროფ. კავშ. მესამე ყრილობა.

ამხ. კაპლუნის მოხსენებას შემდეგ შრომის დამცველ კომისიის მუშაობის

სადღეისო საკითხები

I

„ბურჟუაზიული“ სახელმწიფო.

დღეს აღსარებისთვის არის საჭირო ის ფაქტი, რომ ბოლშევიკები საშუალებით გამოეთხოვნენ მარქსისტულ მსოფლ-მხედველობას. ყველაზე უფრო აშკარათ ეს სჩანს მათ სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში ამ საკითხში ისინი ისე მიუახლოვდნენ ანარქიზმს, რომ ძნელია მათი გარჩევა ამ უკანასკნელისაგან. მთელი რიგი საბუთებისა, თეორიული მსჯელობისა, მეცნიერი გამოთქმებისა, რომელსაც ისინი ხმარობენ სახელმწიფოს მნიშვნელობაზე—ყველა ეს მათ ამოიღეს ანარქიზმის ძველი ზარდახშიდან. ის, რაც მათ სწერეს და სთქვეს ამ ორი წლის განმავლობაში, ნათლად ამტკიცებს, რომ ბოლშევიზმი, როგორც ასეთი, უარყოფს სახელმწიფოს იდეას, სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციას. მას უარყოფს აგრეთვე მთელი მათი ყოველდღიური პრაქტიკა.

ერთს თავის ფელეტონში „პრავდის“ ფურცლებზე ბოლშევიკი პრეობრაჟენსკი ნამდვილი ანარქისტული არგუმენტაციით შეიარაღებული, ანარქიზმის გამოთქმებით და მის დამახასიათებელ სიტყვებით ამტკიცებდა, რომ დემოკრატიზმი, დემოკრატიული რესპუბლიკა, პარლამენტარიზმი არის ყოველგვარ [illegible] ბურჟუაზიის ბატონობის იარაღი, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, არის, იყო და იქნება გაბატონებულ კლასთა ორგანო. ყველგან იმოწმებდა ბაკუნინს და ანარქიზმის სხვა თეორეტიკოსებს.

ლენინმა კი თავის წიგნში „Пролетарская революція и ренегать Каутскій“, მოლოდინს გადააჭარბა. აქ ლენინი ნამდვილი ანარქისტია. ის უპირისპირებს სახელმწიფოს, როგორც მცნებას, როგორც ორგანიზაციას საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს ტრადიციულ მნიშვნელობით.

ბოლშევიკებმა ისე, როგორც ყველაფერი, მარქსიზმის შეხედულებაც სახელმწიფოზე ბოროტად გამოიყენეს, ის [illegible] გადაატრიალეს, დაამახინჯეს თავის ნეოანარქიზმის გასამართლებლად. მათ, როგორც ყოფილმა მარქსისტებმა, იცოდნენ, რომ მარქსი თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და საზოგადოთ სახელმწიფოს ისტორიაში უწოდებდა ამა თუ იმ გაბატონებულ კლასების თავისი ბატონობის გასამტკიცებელ ორგანოს. მაგრამ მარქსს აგრეთვე მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს მიუხედავათ ასეთი მისი შინაარსისა აქვს იმავე დროს უდიდესი ეკონომიური ორგანიზაციული როლი. სოც. დემ. მარქსისტულ მსოფლ-მხედველობით შეიარაღებულს სწამდა და ახლაც სწამს, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი წარმოადგენს უდიდეს და აუცილებელ ორგანიზაციას სოციალურ ეკონომიურ ურთიერთობისა, ის ბუნებრივი, ისტორიული შედეგია ამ ურთიერთობისა, მისი მომწიფებული, ტოლქმედი ძალა რთულ საზოგადოებრივ შენობისა. შეიძლება სახელმწიფომ შეიცვალოს ფორმა, შინაარსი, მაგრამ მისი ნაჩვენები უდიდესი დადებითი მხარე რჩება უცვლელი. მართალია მარქსი, როდესაც ამბობდა, რომ თანამედროვე სახელმწიფო არის „ბურჟუაზიის აღმასრულებელი კომიტეტი“, მაგრამ ის ამით ხაზს უსვამდა მისი თანამედროვე ისტორიულ ფორმების ხასიათს და ის არ უარყოფდა სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციას. თანამედროვე კლასის—პროლეტარიატის და მისი პარტიის სოც.-დემოკრატიის მოწოდებაა სახელმწიფოს დაპყრობა მისი ახლანდელი ფორმა—რომელიმე კლასის ბატონობის სახით და დაუბრუნოს მას მისი ბუნებრივი როლი—საერთო საზოგადოებრივი და საწარმოო ურთიერთობის ორგანიზაციისა.

მთელი მათი დღევანდელი ყოველდღიური პრაქტიკა და ბრძოლა აქედან არის მიმართული, ამიტომ მოითხოვს სოც. დემოკრატია საყოველთაო საარჩევნო უფლებას, დემოკრატიულ რესპუბლიკას, პარლამენტარიზმს. ყოველივე ეს მისთვის საშუალებაა, რომ სახელმწიფოს მოაშოროს კლასობრივი ბატონობის ელფერი, რომ სახელმწიფომ ემსახუროს საზოგადოების პროგრესის საერთო მიზანს.

სოციალიზმი არ ნიშნავს ყოველნაირ სახელმწიფოს მოსპობას. პირიქით, სოციალიზმი კიდევ უფრო აშკარად ჰფენს სახელმწიფოს საწარმოო ცხოვრების მომწესრიგებლის მნიშვნელობას. სოციალიზმი არის უდიდესი და ვეებერთელა, გართულებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც [illegible] მოზღვავებული რთული წარმოების წესის, ბუმბერაზულ საწარმოო ძალთა საერთო ხელმძღვანელობას, ასე ესმის მარქსისტულ სოც. დემოკრატიას სახელმწიფო წარსულში და მომავალში.

სხვანაირად უყურებენ სახელმწიფოს ანარქისტები. ისინი გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ თანამედროვე სახელმწიფო კლასიური ხასიათისაა და უარყოფენ სრულებით მის იდეას. ბოლშევიკებიც ასე იქცევიან. ისინი [illegible] მარქსის [illegible] მოყვანილ აზრს და გამოამჟღავნეს წმინდა ანარქისტული დასკვნა სახელმწიფოს უარყოფის შესახებ. მარქსის არგუმენტაციით ცდილობენ თავისი ანარქისტულ ბუნებას დაფარვას. აქაო და თანამედროვე სახელმწიფო ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოა, ამიტომ უნდა უარვყოთ სახელმწიფო და მოვიგონოთ ახალი ფორმა სოციალურ ურთიერთობისა და მოვიგონეთ კიდეც ეს გახლავთ საბჭოთა კონსტიტუცია.

თავი რომ დავანებოთ ჩვენთვის იმ უდავო ფაქტს, რომ საბჭოთა რესპუბლიკა, როგორც საზოგადოების უმცირესი ნაწილის დიქტატურა, რუსეთის დღევანდელ პირობებში სრულიად განუხორციელებელი და უმაღლეს უტოპიაა, და მარტო სახელმწიფოებრივ ეკონომიურ თვალსაზრისით შევხედოთ მას, ის ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ამ მხრივ საბჭოთა კონსტიტუცია წარმოადგენს ბოლშევიკების ფანტაზიის ნაყოფს, ერთს მათ [illegible] ფანტასტიურ მოგონებას, რომელსაც არ აქვს არავითარი ნიადაგი არსებულ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში.

საყურადღებოა, რომ ბოლშევიკებს თავის საბჭოთა რესპუბლიკა მიაჩნიათ სახელმწიფოს უმაღლეს ფორმად, ამით მათ უნდა სთქვან, რომ მათ სწამთ სახელმწიფო და არ გვანან ანარქისტებს. საბჭოთა რესპუბლიკა არ არის სახელმწიფოებრივი ფორმა, რადგან ის ხელოვნურად შექმნილია, კაბინეტებში ბოლშევიკების მიერ მოგონილი პროექტია და შემდეგ კი ის მოახვიეს სრულიად მისთვის შეუფერებელ სინამდვილეს. კონსტიტუცია, რომელიც არ ეყრდნობა საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობას რეალურად, გამოუსადეგარია, ჰაერში ჩამოკიდებული—ამბობდა ლასალი. ბოლშევიკებმა დაივიწყეს ისტორიული მატერიალიზმის ის დებულება, რომ სახელმწიფოებრივი ფორმა ისახება და მტკიცდება ბუნებრივათ, ობიექტიურათ, საზოგადოებრივ ეკონომიურ განვითარების პროცესში. მისი ხელოვნურათ გამოგონება არ შეიძლება, ეს ისტორიულ იდეალისტების, ფანტაზიორების და უტოპისტების მუშაობაა. ამ საკითხში, როგორც ყველაფერში, ბოლშევიკებმა [illegible] სუბიექტივიზმის [illegible].

საბჭოთა ხელისუფლება შეიძლება იყოს დროებითი, გარდამავალი, რევოლიუციური ხანის გამოხატულება, ხოლო მისი მუდმივ სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ფორმად გადაქცევა ნიშნავს სახელმწიფოს იდეის დამახინჯებას, ადამიანთა ურთიერთობაში დიდი არევ-დარევის გამოწვევას, რადგან დღევანდელ პირობებში ის ნიშნავს საზოგადოების უმცირესი ნაწილის [illegible] და მისი უმრავლესობის თავზე მოხვევას, ამიტომ ის მუდამ მოლიპულ ნიადაგზე სდგას, რყევას განიცდის, რაც ასე აშკარათ დამტკიცდა რუსეთის მაგალითზე.

ბოლშევიკებმა სთქვეს—თანამედროვე სახელმწიფო კლასიური ორგანიზაცია, ის ორგანოა ბურჟუაზიის ბატონობისა, მაშ უნდა შევცვალოთ ეს ბატონობა მეორე კლასის—პროლეტარიატის ბატონობით. მაშინ, როდესაც თანამედროვე სოციალიზმი, მისი მატარებელი [illegible] პროლეტარიატი [illegible], რომ სახელმწიფოს გამოაშოროს ამა თუ იმ კლასის ბატონობის ხასიათი და გადააქციოს ის საყოველთაო საზოგადოებრივ—საწარმოო ორგანიზაციათ. ბოლშევიკების სახელმწიფო—საბჭოთა კონსტიტუცია არის [illegible] სახელმწიფო, იგივე კლასიური ბატონობის ორგანო, მაგრამ ამ შემთხვევაში პროლეტარიატის. ჩვენი მიზანია კლასობრივი განსხვავების მოსპობა, ბოლშევიკები ამ განსხვავებას სხვანაირ ფორმაში აღადგენენ.

საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკა წარმოადგენს იშვიათ მაგალითს იდეალისტურ ქიმერისა. აქ საკვირველია ბოლშევიკთა უნიადაგობა, მათი ფანტაზიორობა. საბჭოთა ფედერაცია—ეს რაღაც წარმოუდგენელი ძალადობაა სინამდვილისა. მთელი ეს ვეებერთელა ქვეყანა იყოფა პატარ-პატარა ავტონომიურ სახელმწიფოებათ-ყოველ პატარა ქალაქში, მაზრაში არსდება საბჭოთა რესპუბლიკა, შემდეგ კი მათ შორის მყარდება ფედერატიული კავშირი ეს მიუხედავად იმისა არის შესაფერი პირობები მხარეში, მოითმენს თუ არა ქვეყნის ეკონომიური, საწარმოო პირობები თუ არა. მარქსისტების შეხედულებით ფედერაცია—ცენტრალიზმის საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული [illegible] პირობებთან, ბოლშევიკები კი განუკითხავათ [illegible] საზოგადოებას, ხელოვნურათ ქმნიან საბჭოთა ავტონომიებს, მაშინ, როდესაც ეკონომიკაში, წარმოებაში თვით არიან მომხრე სასტიკ ცენტრალიზმისა, ამ ბოლო დროს მაინც.

საბჭოთა ფედერაციის იდეა ბოლშევიკებმა, ეჭვი არაა, ისესხეს პარიზის კომუნარებისაგან. ამათაც ასე ჰქონდათ წარმოდგენილი საფრანგეთის ახალი კონსტიტუცია. მთელი მხარე უნდა დაყოფილიყო თვით-მართველობად, კომუნებათ და მათ შორის უნდა ყოფილიყო ფედერატიული კავშირი, ამიტომ კომუნარები ისტორიაში იწოდებიან აგრეთვე ფედერალისტებათ (იხ. სენიობოსი. „პოლიტიკური ისტორია ევროპისა“ ტ. I).

ამ პოლიტიკურ ოპერაციას მაშინდელი საფრანგეთი, რასაკვირველია, ვერ აიტანდა. ის განუხორციელებელი უტოპია იყო. ეს შეადგენდა კომუნარების ერთ სუსტ მხარეთაგანს. ბოლშევიკებმა კომუნარებს მიბაძეს ყველაფერ ცუდში და უტოპიურში, კარგი და მისაღები უარყვეს.

თუ რა „კონსტიტუცია“ გამოდგა ბოლშევიკების „საბჭოთა რესპუბლიკა“ ეს, ასე ვთქვათ, квадратура круга, ამას ამტკიცებს ამ კონსტიტუციის ბოლო, უკანასკნელი მისი სახე. გადაავლეთ რუსეთის „სახელმწიფოს“ თვალი. ამ ბოლოს დროს, რას ვხედავთ აქ?

მართალია ბოლშევიკები თავიანთ საგარეო დიპლომატიურ ურთიერთობაში დაჟინებით უწოდებენ „Россійская совѣтская федеративная республика“ ს, მაგრამ იქ ამის სახელწოდება დარჩა მხოლოდ. ამ „კონსტიტუციას“ თავის [illegible] თან ახლდა უიმედობა, თან აჩნდა განუხორციელებლობის ბეჭედი. ამიტომ ის სასტიკათ გაკოტრდა. თავიდანვე ბოლშევიკმა ალ. ბოგდანოვმა, რომელიც ამ შემთხვევაში თავის ამხანაგებზე უფრო შორსმჭვრეტელი გამოდგა *).

---

*) ლენინს, ვგონებთ, მათ წრეშიც ადგილი უნდა ჰქონდეს.

შეღავათების შესახებ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია: მართალია საბჭოთა მთავრობამ მოგვცა საშუალება მთელი სიგრძე სიგანით დაგვეყენა პრობლემა შრომის სოციალური დაცვისა. მაგრამ სამეურნეო ცხოვრების დარღვევის მძიმე ობიექტიურმა პირობებმა არ მოგვცა ამ დარგში მუშათა ყველა მოთხოვნილების ცხოვრებაში გატარების საშუალება. ანგარიშს უწევს რა იმას, რომ შრომის დაცვის სრული განხორციელება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი საბოლოოდ გაიმარჯვებს კონტრრევოლიუციაზე და აღდგენილი იქნება სამეურნეო ცხოვრება, ყრილობა საჭიროდ სთვლის უნდა გაძლიერდეს შრომის დამცველ კავშირთა მუშაობა. ყრილობა საჭიროდ სთვლის აგრეთვე, რომ ფართოდ შესწავლილი იყოს ყველა საკითხი პროფესიონალური ჰიგიენის შესახებ.

ამხ. ონიკსტის მოხსენებით ყრილობამ შრომის ბეგარის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: გამოვდივართ რა იმ დებულებიდან, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენა კომუნიზმის განსამტკიცებლად უმთავრესად დამოკიდებულია მუშათა ძალის რაოდენობის გადიდებაზე და მის მიზანშეწონილ განაწილებასა და სარგებლობაზე და რომ ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო შრომის ბეგარის სისტემის საფუძველზე, ყრილობა მიესალმება საყოველთაო პრაქტიკულ გადასვლას შრომის ბეგარაზე, რომელიც გამოცხადებული იყო ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ და ფიქრობს, რომ კავშირებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ მუშები ყველა დაწესებულებიდან, სამრეწველოებიდან და სამეურნეო დარგებიდან სათანადო ორგანოების წინადადებისამებრ სხვა სამუშაოზე არ გადაიყვანონ. კავშირები სასტიკად და სისტემატიურად უნდა შეებრძოლონ დროის გაცდენასა და სიზარმაცეს. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ იმის კონტროლში, რომ მცხოვრებნი სისწორით იყვნენ მიწერილნი ბეგარის მოსახდელად და რომ მიწერილნი მიზანშეწონილად და რაციონალურად იყვნენ განაწილებულნი. აგრეთვე ხელი უნდა შეუწყონ კვალიფიკაციური მუშათა სოფლებში გამოძებნას, თვალყური ადევნონ სამრეწველო დაწესებულებათა დროებით შეჩერებისა და ლიკვიდაციის დროს მუშათა ძალით სარგებლობას. გააძლიერონ შრომის ბეგარის სამობილიზაციო აპარატი კავშირთა მუშაკებით, გასწიონ ფართო აგიტაცია, რომ პოპულარიზაცია გაუწიონ შრომის ბეგარას, როგორც საერთოდ მშრომელთა შორის, აგრეთვე ყოველ კერძო შემთხვევაში ამა თუ იმ ბეგარის მოსახდელად მიწვეულთა შორის.

სამხედრო მილიცია და შრომის ბეგარა.

მოსკოვი. ქვეყნის სამხედრო თავდაცვისათვის დანიშნული ორგანიზაცია მილიციისა საჭიროების დროს გამოყენებული უნდა იქნას შრომის ბეგარისათვის ე. ი. მან უნდა შესძლოს შრომის ნაწილების მოწყობა და მათი საჭირო საინსტრუქტორო მოწყობილობით უზრუნველყოფა. მილიციამ უნდა თავის ორგანიზაციაში უნდა შეინახოს მუშათა კლასის დიქტატურის ყველა დამახასიათებელი თვისება.

შრომის ნაყოფიერება.

ჩრდილოეთ-დასავლეთის რკ. გზამ შეაკეთა 34 ორთქლმავალი და 65 ვაგონი.

სამხედრო ცნობა.

აპრ. 12. მოზირის რაიონში შაცილკა სტრახოვიჩის მიდამოებში ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პოდოლის კამენეცის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ გრძელდება.

რურის ოლქში

რურის ოლქის კომუნისტები ცდილობენ თავისი იარაღები დამალონ ახალი აჯანყების მოსაწყობათ

რეპრესიები რუმინეთში.

რუმინეთის გაზეთების ცნობით მას შემდეგ, რაც ავერესკო რუმინეთის მთავრობის მეთაური შეიქნა, საშინელი რეპრესიები დაიწყო.

შვეცია და საბჭოთა რუსეთი.

კოპენჰაგენში ჩამოხვედრენ შვეციის კომერსანტები და მრეწველები რუსეთთან საგარეო დამოკიდებულების შესახებ წინადადებით მოსალაპარაკებლად.

ინგლისური ცნობები

(ბასრიდან).

გაფიცვები იტალიაში.

მილანიაში [illegible] და პოლიციელთა შეჯახების დროს მოკლულია 7 მუშა, დაჭრილია მრავალი, მილანში, ფლორენციაში და სხვა ადგილებში საერთო გაფიცვები გამოცხადდა.

ტოკიოდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ვლადივოსტოკში იაპონელებმა იარაღი აჰყარეს რევოლიუციონურ ძალებს. იაპონელები რუსებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ წესრიგის დაცვის შესახებ.

ინგლის საფრანგეთის მორიგება.

საფრანგეთის პრესა შესანიშნავ ერთსულოვნებით გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას, რომ ისპობა ყოველნაირი კამათი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიურ ჰორიზონტს აბნელებდა.

ჩინური უნივერსიტეტი.

სამშაბათს სორბონაში გაიხსნა ჩინური მეცნიერების ახალი ინსტიტუტი, რომელიც პარიზისა და პეკინის მთავრობის ფინანსიური დახმარებით გაიხსნა. ჩინეთის ელჩმა, აკადემიის რექტორმა და სახალხო განათლების მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვეს. ინსტიტუტი იქნება ჩინელ სტუდენტთა და საფრანგეთის ორიენტალისტთა გამაერთიანებელ ცენტრათ.

ინციდენტის დასასრული.

საფრანგეთ ინგლისის ინციდენტი დასრულდა. ლონდონში გამოქვეყნებული ოფიციალური ნოტა, აცხადებს რომ საკითხი ვადის გაგრძელების შესახებ, რომელიც გერმანიის დელეგაცია მოითხოვს, განხილულ იქნება სანრემოში 19 აპრილს უმაღლესი საბჭოს მიერ.

გაზეთების სიხარული.

საფრანგეთის გაზეთები მოხარული არიან, რომ საფრანგეთ ინგლისის ინციდენტი დასრულდა „ჟურნალი“ აცხადებს: ჩვენ ყოველთვის თანახმა ვიყავით იმისა, რომ ინგლისი ძლიერი და ძლევამოსილი ყოველთვის იქნეს ყოველ საკითხში, რომელსაც კი მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მხოლოდ მოვითხოვთ ურთიერთის გაგებას. გერმანიის საკითხი—ეს ევროპის სწორწონობის საკითხია. ხელშეკრულების აღსრულების საკითხი კარტზე სვამს ჩვენი ქვეყნის არსებობას. ამ საკითხების მოგვარების შემდეგ, საფრანგეთს აქვს ზემოქმედი უფლება, და მოკავშირეები მოვალენი არიან მას ეს უპირატესობა მიანიჭონ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

[**არჩევნები აფხაზეთში.** აფხაზეთში დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები დამთავრდა. ამომრჩეველთა რიცხვი მთელს ოლქში 63 ათასი იყო, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 20,080 № 1 მიიღო—8007, № 2—888, № 3—7,929, № 5—1,200, № 8—200, № 16—406. არჩევნების შედეგი ჯერ საბოლოოდ არ დამტკიცებია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

◆ **გზათა დეპარტამენტის განკარგულებით** სახაზინო რკინის გზების სამმართველო ადგენს ახალ განრიგებას მატარებლებისას, რომელიც შევა ძალაში საზაფხულოდ. ამ განრიგებაში მიღებული იქნება მხედველობაში შეძლებისამებრ მიმოსვლის გაადვილება საქართველოს ყველა ცენტრებთან. გარდა ამისა იცვლება ხასიათი სწრაფ მატარებლების №№ 1 და 2 თბილისისა და ბათუმს შორის. ახალი განრიგებით მისი გარბენის დრო მცირდება, რისთვისაც შემცირებული იქნება გაჩერებანი სადგურებზე ტექნიკურად საჭირო მინიმუმამდე და შეჩერება მოხდება მხოლოდ მნიშვნელოვან სადგურებზე და სადაც ტექნიკურად არის საჭირო. სახელწოდება მატარებლებისა იქნება საქართველოს ექსპრესი და ნომრები მატარებლების №№ ე 1 და ე 2 მატარებლებზე გარდა პლაცკარტებისა, შემოღებული იქნება დამატებითი გადასახადი ჩქარისათვის.

◆ **ამხ. ნ. რამიშვილის მოხსენება.** დღეს, საღამოს, ვერის მუშათა კლუბში, დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე განხილული იქნება პარტიული ყრილობის დღის წესრიგი. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნ. რამიშვილი.

◆ **სააქციზო სამმართველო** აცხადებს საყოველთაოდ, რომ თანახმად 1918 წ. 13 ენკენისთვის კანონის მე 14 მუხლისა, ყოველგვარი ხარისხის თამბაქო და მისი ნაწარმოები უნდა იყიდებოდეს არა უძვირეს იმ ფასისა, რომელიც ნაჩვენებია ამ ნაწარმოების ეტიკეტზე. სააქციზო სამმართველო სთხოვს ყველა მოქალაქეს, რომელიც კი შეამჩნევს ამ კანონის დარღვევას, კეთილ ინებოს და გამოუცხადოს ამის შესახებ მილიციას, ან უშუალოდ აქციზის მოხელეს დამნაშავე სამართალში მისაცემად, ან და გაუგზავნოს სააქციზო სამმართველოს (სასამართლოს ქ № 50) შესაფერი განცხადება თავისი მისამართის აღნიშვნით.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი მოხსენება: 1) ნაძალადევი (მუშათა კლუბი) შინ. საქმეთა მინ. ნოე რამიშვილისა.

◆ **ქალაქთა კავშირმა** შეიძინა 60 ცხენი ქალაქთა თვითმართველობებისათვის. ცხენები ქალაქებს მიეცემათ ქალაქის გამგეობისაგან ცნობების მიღების შემდეგ (თუ რამდენი ცხენი სჭირიათ) დამზადებულ ფასებში.

◆ **სახალხო სახლში,** პარასკევს, 17 აპრილს, ამხ. ბ. თევზაიას და დრ. [illegible] მიერ გამართება მოხსენება-კამათი ქართულად და რუსულად შემდეგ თემაზე: „დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი მომავალი“. კამათში და შეკითხვებში ყველას შეუძლია მონაწილეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათ. ს. ბილეთები იყიდება პროფესიონალურ კავშირის სეკრეტარიატში.

◆ **მკვლელობა.** 9 აპრილს სომხების სასულიერო სემინარიის შენობასთან აღმოჩნდეს ხელ-ფეხი, როგორც ეტყობოდა, ქალის 10 აპრილს ელისაბედის ქუჩაზე აღმოჩენილ იქნა ქალის თავი, რომელიც გაზეთში იყო გახვეული. იმავე დღეს ალექსანდრეს ქუჩაზე № 41 სახლის ეზოში აღმოაჩინეს ტანი, რომელსაც ის ნაწილები შეუფარდეს, აღმოჩნდა, რომ ისინი ერთ სხეულს შეადგენენ. გვამი მიხეილის საავადმყოფოში მიიტანეს შემდეგ გამოარკვიეს, რომ განსვენებული ყოფილა პოლკოვნიკის ქვრივი აგ. სიმ. კაპიროვა. მკვლელობა ჩადენიათ: საქო სიმონიან ავეტისიანს, ხორენ სიმონიან ავეტისიანცს და სხვ, რომლებიც სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაჭერილნი არიან. მკვლელობის მიზეზი [illegible]—ავეტისიანის პირადი შურისძიება კაპიროვას წინააღმდეგ, რომელსაც მისთვის წინათ უარი უთქვამს ცოლად გაყოლაზე.

◆ **მანუფაქტურის მოპარვა** 7 აპრილს თამამშევის ქარვასლაში მოთავსებულ „ძმ. ოვანოვების“ სამანუფაქტურო მაღაზიიდან მოიპარეს მანუფაქტურა 180,000 მანეთის ღირებული. სისხლის სამართლის მილიციის აგენტების მიერ გამორკვეულ იქნა, რომ ბოროტმოქმედება ჩაიდინეს ღამის დარაჯებმა გრიგორი კარაპეტის ძე ხაჩატურიანმა, ბაგრატ აირაპეტის ძე მოსესოვმა და მთავარ დარაჯმა აღაჯან აირაპეტის ძე არუთიუნოვმა. ამათგან უკანასკნელი უკვე გაქცეულა ერევანში, ხოლო პირველნი დაატუსაღეს.

◆ **ქურდობა** კალისტრატე მარკოზის ძე ლეკვინაძის ბინიდან მოიპარეს ნივთები 50,000 მან. ღირებული. სისხლის სამ. მილიციამ დააპატიმრა ამის გამო ივან მარტინის ძე ნეჩინსკი, რომელიც დანაშაულში გამოტყდა. მასვე გაუძარცვავს ეს ბანკის დირექტორის იგ. კორინთელის ბინა, საიდანაც გაუტანია 40,000 მან. ღირებული საქონელი. უკანასკნელი მილიციამ სავსებით აღმოაჩინა და პატრონს ჩააბარა. დამნაშავე დატუსაღებულია.

ქრონიკა.

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ჩვეულებრივი სხდომა საქ. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივისა (კახეთის ქ № 1)

— დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება

— დღეს, საღ. 5 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის რაიონში მყოფ მცირე კოლექტივების და მუშათა წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა.

— დღეს, საღამოს 4 ს. საკუთარ ბინაზე დანიშნულია საქ. ახ. მარქ. ორგ. ცენტრალური კომიტეტის სასწრაფო სხდომა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

აზერბაიჯანი

მუსულმან-მუშების კონფერენცია. 7 აპრილს შესდგა კონფერენცია ბაქოს სამრეწველო რაიონის მუსულმან მუშებისა. კონფერენციაზე 700-მდე დელეგატი—რაიონულ პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელი გამოცხადდა. კონფერენციის მიზანია მოაწყოს დამოუკიდებელი ცენტრი მუსულმან-მუშებისა, რომელიც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ნიადაგზე იდგება და თავიდან აიცილებს მუსულმან მუშებს იმ უპასუხისმგებლო პირების დამღუპველ პოლიტიკას, რომელნიც მიზნათ ისახავენ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ძირის გამოთხრას. კონფერენციაზე მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ გამოვიდნენ [illegible] და რასულ-ზადე, რომლებმაც გააცნეს კონფერენციას მთავრობის მიერ მიღებული ზომები მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და აგრეთვე აზერბაიჯანის საერთაშორისო მდგომარეობა. არჩეულ უნდა იქნეს საბჭო 15 კაცისაგან; თავჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. ბ. მელიქ-ეგანოვი. („აზერბ.“).

ოსმალეთი

კილიკიის ამბები. ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა კილიკიაში მომხდარ ამბების შესახებ. მთავრობა თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც საზავო კონფერენციაზე სწყდება ოსმალეთის ბედი, ამ დროს ოსმალეთის შესახებ ავრცელებენ ყალბ ცნობებს, რათა ამით ზიანი მიაყენონ ოსმალეთს და გააფუჭონ მისი მდგომარეობა. თუ გავრცელებულ ცნობებს დავუჯერებთ, ანატოლიაში 20 ათასი სომეხია მოკლული, ნამდვილათ კი, დროებით ზავის ჩამოგდების შემდეგ მხოლოდ მარაშის ოლქში ჰქონდა ადგილი შეტაკებას ქრისტიან მცხოვრებლებთან ბრიტანეთის ჯარების წასვლის შემდეგ, საფრანგეთის სამხედრო სარდლობამ ადგილობრივ ქრისტიანებში დიდი ძალი სომხობას მოუყარა თავი, რომლებიც ადგილობრივ მუსულმანობას დიდათ ავიწროებდნენ. საფრანგეთის ჯარების მეთაურთან მიდიოდნენ მუსულმანების დელეგატები საჩივლელად, რომლებსაც სროლით შეეგებნენ. მუსულმანებმა სროლაზე სროლითვე უპასუხეს და ამან გამოიწვია ის, რომ ფრანგებმა ზარბაზნებიდან და ტყვიის-მფრქვევლებიდან აუტეხეს სროლა მშვიდობიან მცხოვრებლებს. მეზობელ მცხოვრებლებმა არაბებმა, თურქებმა და ქურთებმა, შეიტყვეს რა მუსულმანების დარბევა, წავიდნენ მარაშში ადგილობრივ მცხოვრებთა დასახმარებლად. ფრანგებმა და სომხებმა დასტოვეს ქალაქი და დაუშინეს მას ყუმბარები, რამაც დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ადგილობრივი მცხოვრებლები. ფრანგების წასვლისთანავე ბევრი სომეხი გადასახლდა მარაშის რაიონიდან და ესაა მიზეზი, რომ მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა. ოსმალეთის მთავრობა მოითხოვს შერეულ კომისიის დანიშვნას მდგომარეობის გამოსარკვევად. („ი. დ.“).

რუსეთი.

დენიკინის ბედი. აზერბაიჯანის რადიომ მიიღო ფრანგული პრესის შემდეგი ცნობა: „მოხალისეთა“ ჯარის გენერლებმა გენ. ვრანგელი დანიშნეს „მოხალისეთა“ იმ ნაწილების მთავარ სარდლათ, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. გენერალი დენიკინი ბრიტანეთის გამანადგურებლით კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. უკანასკნელ ცნობების თანახმად გენ. დენიკინი უკვე ჩასულა კონსტანტინოპოლში.

ლენინის აზრი. ინგლისურ გაზეთ „დეილი ნიუს“-ში მოთავსებულია ინტერვიუ ლენინთან, რომელშიაც უკანასკნელს შემდეგი გამოუთქვამს: მოკავშირეებმა წინადადება მოგვცეს, რომ ისინი დაიწყებენ ჩვენთან ვაჭრობას კოოპერატივების საშუალებით. მაგრამ ჩვენ კოოპერატივების ნაცვლად სულ სხვა ორგანიზაციები გვაქვს. ამასთანავე ისინი განიზრახავენ სამხედრო მოქმედებას ჩვენს წინააღმდეგ; ეს მხოლოდ მათ ორპირობას ამტკიცებს. ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო და ფოში ჭკვიანი ადამიანებია; პირველი [illegible]

ტებს, მეორეს ცხოვრებაში [illegible] დადგენილებები. მაგრამ [illegible] არის, რომ ისინი ყოველთვის ისეთ რამეს მოიგონებენ, რის განხორციელებაც შეუძლებელია. ზავის შესახებ ლენინმა შემდეგი განაცხადა: მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ თანახმა ვართ ზავი შევკრათ ისეთ პირობებით, რომ ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელი იმპერიალისტებიც კი უნდა დაეთანხმონ. ამაზე ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ ჩვენ გვსურს ზავი, გვსურს იმ ზომით, რომ თანახმანი ვართ მივსცეთ უცხოელებს ისეთი კონცესიები და გარანტიები, რაც ჩვენთვის მეტად საზიანო იქნება. მაგრამ ჩვენ სრულებითაც გვაქვს სურვილი ზავის გულისათვის მონებათ გადავიქცეთ ჩვენის აზრით. განაგრძობს ლენინი, მოკავშირენი უნდა მოვიდნენ ჩვენთან და არ შეეხონ იმ საკითხს—ბოლშევიკები ვართ ჩვენ თუ არა. ჩვენი შინაური მდგომარეობა კრიტიკულია, მაგრამ არა უიმედო. გაზაფხულზე ჩვენ მივიღებთ სურსათ სანოვაგეს და ამით თავიდან ავიცილებთ შიმშილობის საფრთხეს. წარმოების ასაყვავებლათ მიღებულია ყოველგვარი ზომები.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ

II.

ბოლშევიკების საბუთების გადასინჯვის დროს ერთ წერილს წავაწყდით, ეს წერილი ეკუთვნის ისეთ ბოლშევიკს, რომელსაც შეუძლია არა თუ წაკითხულის გაგება, არამედ—ძალა შესწევს ზოგი რამ სხვებსაც ასწავლოს.

აი ეს ბოლშევიკი ციხიდან სწერს გარეთ მყოფ არა ბოლშევიკს, ძველ [illegible] ხანაგს.

მართალია, ბევრში დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ სამაგიეროთ ბ[illegible] საერთო გვაქვს და ამიტომ გთხ[illegible] [illegible].

საინტერესოა, თუ როგორ [illegible] თებს ის ციხიდან განთავისუფლებ[illegible] მოთხოვნას.

სწერს: „ვთქვათ მე ვეწყობი პროპაგანდას კომუნისტური იდეებისას, ხელს ვუწყობდი კომუნისტური პარტიის პროგრამის სიტყვიერათ და მწერლობით გავრცელებას, მერე ეს ხომ სიტყვის და წერის უფლებაა და არა შეიარაღებული აჯანყებისკენ მოწოდება, სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ უკანასკნელი დროს ამბები ხომ ნათლად მოწმობს იმას, რომ მოსკოვში დღეს მენშევიკები არჩევნებში თავისუფლად იღებენ მონაწილეობას და თავიანთი წარმომადგენლებიც კი აირჩიეს სოვდეპში? რათ არ ხდება ასე ჩვენში? მეტყვით თქვენ, ბოიკოტი გაქვთ გამოცხადებული. კარგი, ვთქვათ ეს ასეა, მაგრამ წერის და სიტყვის ბოიკოტი ხომ არ გვაქვს გამოცხადებული? სიტყვით და წერით ხომ მენშევიკებიც ებრძვიან იქ ბოლშევიკებს? ეს ისეთი ლოღიკაა, რომლის დარღვევა არავის ძალუძს და მე მგონია, ამას დღეს ვერც დღევანდელი საქართველოს მთავრობა შესძლებს მაშასადამე, ჩვენ სრული საბუთი გვაქვს მოვითხოვოთ მათგან პრინციპ—კანონების თანახმად, რომ განგვანთავისუფლონ. რაც შეეხება [illegible], ამაზე ახლავე გაცნობებ, რომ მე დავრჩები კომუნისტად, რომელსაც შესწევს ძალა მხოლოდ საქართველოში გაწიოს პროპაგანდა სიტყვით და წერით კომუნისტური იდეებისა.“

ჩვენ ვალად მოვიყვანეთ ეს გრძელი ამონაწერი იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ მსჯელობს შეგნებული ბოლშევიკი.

რა სახელიც გინდათ, ის უწოდეთ თქვენ ამგვარ მსჯელობას, ჩვენ კი ვიტყვით: ეს არ არის არც გულუბრყვილობის ნაყოფი, არც ლოღიკობა. პირიქით, ეს ყოველგვარი რიგიანობის მასხრათ აგდებაა.

რათ დაეჭირა ბოლშევიკს მოსკოვის შედარება საქართველოსთან?

განა რუსეთის მენშევიკები ისე მოქმედებენ მოსკოვში, როგორც ჩვენში ბოლშევიკები?

სად, ან როდის მოაწყვეს, ან განიზრახეს შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ იქაურმა მენშევიკებმა?

წარმოიდგინეთ, იქ მენშევიკები საბჭოთა მთავრობის, ანუ როგორც ბოლშევიკები უწოდებენ მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგნი არ არიან, მხოლოდ მოითხოვენ ნამდვილ მუშათა და გლეხთა მთავრობას—საყოველთაო საარჩევნო უფლებას და სხ.

იქაური მენშევიკები, მათი ხელმძღვანელი ორგანოები ამბობენ—რადგანაც საბჭოთა მთავრობა კომუნისტების პარტიის მთავრობაც არ არის—ის მხოლოდ ერთი ჯგუფის მთავრობაა და სხ.

რას ამბობენ ან აკეთებენ ჩვენში ბოლშევიკები?

არ სცნობენ სრულიად საქართველოს დამოუკიდებლობას, არ სცნობენ საქართველოს ხალხის გამომხატველ დამფუძნებელ კრებას, მის მთავრობას. უარყოფენ ყველაფერს, [illegible]

დღეს „საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის“ ნასახიც არ არის იქ. არ არის არავითარი ფედერაცია, არავითარი საბჭოთა უფლება, არავითარი რესპუბლიკა, საზოგადოთ არ არის არავითარი უფლებრივი ნორმები. ფედერაციაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან არის ხშირათ ისეთი შემთხვევა, რომ რომელიმე ავტონომიური საბჭო, მაგალითად ვსთქვათ, სადმე ყაზანში, არ იცის, რა ხდება მეორე საბჭოში, არ იცის, რა დამოკიდებულება აქვს ცენტრთან, მოსკოვის საბჭოსთან. არც სხვას მიაქვს მისგან რაიმე რჩევანი. გლეხთა საბჭოები ხომ არ არსებობენ კარგა ხანია. საზოგადოების 80 პროც. „კონსტიტუციის“ გარეშე სდგას.

ერთი სიტყვით ბოლშევიკების „საბჭოთა რესპუბლიკა“ აღმოჩნდა ერთი დიდი იდეალისტურ-სუბიექტიური ხუმრობა, მათი დიდი პოლიტიკური „ოტსებიატინა“, რომელიც ხელოვნურათ მიაკერეს რუსების ტანს [illegible].

ის, რაც ხდება დღეს პოლიტიკურათ საბჭოთა რუსეთში, შეიძლება გამოიხატოს ორი სიტყვით: „кустарное государство“. ბოლოს და ბოლოს ბოლშევიკებს შერჩათ ეს „კუსტარული“ რესპუბლიკა, „ძმა-ბიჭური“, „შინაურულ-ამხანაგური“ კონსტიტუცია.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რესპუბლიკა არ არის სახელმწიფო, ბოლშევიკები მაინც უწოდებენ მას ასეთს, უმატებენ ფორმას სახელმწიფოებრიობისას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოს, რანაირი ფორმაც არ უნდა ქონდეს მას, ახასიათებს იძულება, მის პრაქტიკულ საქმიანობას აქვს იძულებითი ხასიათი და აქ არის ბოლშევიკების ნამდვილი ტრაგედია.

ერთი მხრივ მათ „საბჭოთა რესპუბლიკა“ მიაჩნიათ სახელმწიფოებრივ ფორმად, მაშასადამე მას უნდა ჰქონდეს იძულებითი ხასიათი, სახელმწიფოში გაბატონებული კომუნისტები ბრძანებების და კატეგორიული კილოთი უნდა ლაპარაკობდენ, მეორეს მხრივ კი მათ ჩააგონეს შეგნებულ მუშებს, რომ საბჭოთა სახელმწიფო—ეს მათი სახელმწიფოა, ეს მათი კლასობრივი დიქტატურაა, და რადგან საბჭოებში კომუნისტების მეტი არავინ არის, ამიტომ სახელმწიფო, კომუნისტების პარტია და პროლეტარიატი გახდენ სინონიმებად, ერთ და იმავე ცნებათ. მაგრამ ამ უკანასკნელ მიზეზის გამო ბოლშევიკთა სახელმწიფოს იძულება უხერხული ხდება, შესაძლებელია ამან პროტესტი გამოიწვიოს „საბჭოთა კონსტიტუციის“ მესაკუთრე პროლეტარიატში.

ეს ქმნის სასაცილო მდგომარეობას ბოლშევიკებისათვის, როდესაც ისინი სახელმწიფოებრივ პრაქტიკას ეწევიან, ხან იძულება, კატეგორიული კილო, ხან კი თხოვნა, ამხანაგური კილო, ქადაგება და პროპაგანდა. ბოლშევიკებისათვის ეს არა სასურველი მდგომარეობა ამ ბოლო დროს განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა. დღეს მათ თითქო „მოათავეს“ სამოქალაქო ომი და შინაურ ცხოვრებისკენ მიიხედეს. აქ კი ბევრი რამ დახვდათ ცუდ მდგომარეობაში. შიმშილი, სიცივე, უგზოობა, [illegible]. და აი, საჭირო შეიქნა სახელმწიფოებრივ ენით ლაპარაკი. მაგრამ ჯერ ვერ გაბედეს ეს. [illegible] ამხანაგ მუშების.

ჯერ დაიწყეს ქადაგება, პროპაგანდა მუშურ ოფიციალურ ორგანოებში ტრანსპორტის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, ევედრებოდენ მუშებს გაეკეთებინათ რემონტი ორთქლმავლებისათვის, თავი მოეყარათ ვაგონებისათვის, გაეჭრათ ტყე და დაემზადებინათ შეშა, გაეწმინდათ გზები თოვლისაგან. მკითხველს ეხსომება გაზეთებში მოყვანილი ნიმუშები ლენინის, რადეკის, სტეკლოვის და ზინოვიევის მოწოდებებისა. ყველა ამას ქონდა ამხანაგური, შინაურული დარიგების ხასიათი. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. წარმოებას გადაჩვეული და სამოქალაქო ომში „[illegible]“ ცხოვრებას მიჩვეული წითელ არმიელმა მუშებმა არ გამოეხმაურნენ ვედრება-ხვეწნას სახელმწიფოს სათავეში მდგომ ლიდერებისა.

მხოლოდ ხანდახან წავიკითხავდით რადიო-ცნობებს, რომ ამა და ამ ქალაქში მუშებმა ამდენი ორთქლმავალი შეაკეთეს, ამდენი საჟენი შეშა მოზიდეს, ამდენი ვერსი გზა გასწმინდეს, რაც მკითხველში აღძრავდა [illegible] ღიმილს.

რადგანაც კომუნისტებმა დაინახეს, რომ შეგონებამ ვედრებით არ გამოიხმაურა მუშების ფართო ნაწილი, მაშინ მიმართეს სახელმწიფოებრივ ზომებს, ალაპარაკდენ იძულების ენით. გადაწყვიტეს მათთვის მეტად საზიანო ნაბიჯი: გამოაცხადეს საყოველთაო შრომის ბეგარა, შემოიღეს შრომის მილიტარიზაცია, როგორც ისინი უწოდებენ ხოლმე „წითელი არმიები“ ერთის დეკრეტით გადააქციეს „შრომის არმიებათ“. ერთი უკიდურესობიდან [illegible] ცვლილების სიჩქარით გადავიდნენ მეორე უკიდურესობაზე. ამხანაგური ვედრება-შეგონება, ქადაგება პროპაგანდა შეიცვალა სასტიკ სახელმწიფოებრივ ზომით—[illegible].

როგორც [illegible] ცნობიდან სჩანს, არც ამან უშველა საქმეს, შრომის არმიიდან დეზერტირები გარბიან, სასტიკ ზომებს ღებულობენ მათ წინააღმდეგ. ისევ უბრუნდებიან [illegible] გზას. ხან ხვეწნა-მუდარა, ამხანაგური კილო, ხან კატეგორიული იძულება—[illegible], ასე ყოყმანობს ბოლშევიკთა „სახელმწიფო“. ხანდახან ეს ორი საშუალება მათ მოქმედებაში განსაცვიფრებლად არის შერეული ერთი მეორეში. აი ტიპიური მაგალითი ერთი რადიო ცნობა ამას წინათ რომ გამოაქვეყნეს.

საქმე ეხება სიბინძურისაგან გაწმენდას საბჭოთა რესპუბლიკისა. მთავრობის ოფიციალური ორგანო „იზვესტია“ მოუწოდებდა თავის მოქალაქეებს გაეწმინდათ ქალაქები სიბინძურისაგან, [illegible] ენერგიული წმენდა რესპუბლიკისა, აგრეთვე რჩევას აძლევდა ხალხს თავისი თავიც გაეწმინდა, აბანოებისაკენ მოეშურებინა მას. ცნობაში ჯერ დაცული იყო შეგონების, პროპაგანდის კილო, დასასრულს კი თავდებოდა მკაცრი მუქარით: ვინც ჭუჭყიანი, ბინძური და მწერებიანი იქნება—ის კონტრ რევოლიუციონერია, ამიტომ ის უნდა სასტიკად დაისაჯოს!

აი დაბოლოვება ბოლშევიკების „საბჭოთა სახელმწიფოს“, ასეთი „კუსტარული“ სახე მიიღო მან, ასე მოუვა ყველას, ვინც მოინდომებს ობიექტიურ სინამდვილეზე თავისი ფანტაზიის ნაყოფის მიკერებას, ვინც „მოიგონებს“ სახელმწიფოებრივ ფორმას, როგორც ეს მოუვიდათ ბოლშევიკებს მათი „საბჭოთა კონსტიტუციის“ განხორციელების დროს.

ამას გრძნობს ზოგი დაკვირვებული ბოლშევიკი, პირველ ყოვლისა კი ყველაზე უფრო ჭკვიანი და მემარჯვენე ბოლშევიკი ლენინი, რომელიც შექმნილმა ტრაგიკულმა მდგომარეობამ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კოლეგიური მმართველობა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, უნდა შეეწიროს და უპირატესობა ერთმართველობას უნდა მიეცეს. მაგრამ ეს ხომ სრული გაკოტრებაა „საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკისა“ მისივე ავტორის მიერ!

აი დაამარცხა ბოლშევიკები სინამდვილემ, აი დასაჯა ისინი ისტორიული მატერიალიზმის დავიწყებამ. მათ მოინდომეს ძველი სახელმწიფოს დაშლა, მაგრამ ახალი ვერ შექმნეს, ვერც შექმნიან, რადგან სახელმწიფოებრივი ფორმა არ შეიძლება „გაკეთდეს“ ხელოვნურად. ახლა ისინი ჩვენ კარს მოადგნენ, ხელში უჭირავთ იქ, შინ გაკოტრებული „კონსტიტუცია“, რომელსაც ჩვენ გვთავაზობენ. ეს უნდა იცოდეს ჩვენმა მუშათა კლასმა, მთელმა დემოკრატიამ.

ალ. ცორულაძე.

...იან მოქმედებით — შეიარაღებული აჯანყების მოწყობით.

მოსკოვის მენშევიკები იბრძვიან მუშების და გლეხების უმრავლესობის გასაბატონებლად, ჩვენში კი ბოლშევიკები ებრძვიან ამ უმრავლესობას უმნიშვნელო ჯგუფის გაბატონებისათვის.

რუსეთის მენშევიკები ბოლშევიკებთან ბრძოლაში არ ეყრდნობიან გარეშე ძალებს—არავის არ პატიჟებენ გარედან ბოლშევიკების დასამარცხებლად, ჩვენებური ბოლშევიკები კი თვალი რუსეთისაკენ აქვთ, ხსნას ელიან ლენინისაგან, მუსტაფა ქემალ ფაშისაგან და სხ.

სიტყვიერათ და წერით ბოლშევიკებზე ნაკლებ ოპოზიციას არ აწარმოებენ ჩვენში თუ გინდ სოციალისტ-ფედერალისტები, ნ(აციონალ)-დემოკრატები და სხვანი, მაგრამ მხოლოდ ამისთვის მათ არავინ არ სდევნის, ვინაიდან მთავარ საქმეში—საქართველოს დამოუკიდებლობის ისინი სცნობენ. როცა ჩვენს დამოუკიდებლობას საფრთხე მოელის, ისინი მის დასაცველად გამოდიან იარაღით ხელში.

ბოლშევიკები კი სიტყვიერ და წერით პროპაგანდა-აგიტაციასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოდიან იარაღით ხელში, აწყობენ აჯანყებებს ყოველგვარი ნაძირალების დახმარებით და სხვ.

აი რაშია განსხვავება! განა ეს არ მოეხსენება შეგნებულ ბოლშევიკს—შემოყვანილი წერილის ავტორს?

რასაკვირველია, მოეხსენება, მაგრამ მაინც იგზუტის, ცინიკოსობაში გადის!..

თუ კომუნისტებს ძალა შესწევს იდეურ ბრძოლით მიაღწიოს მიზანს საქართველოში, რატომ არიან ყოველ დღე ბოლშევიკები შეიარაღებული გამოსვლების მზადებაში, რატომ აწყობენ ამ ჯახირიან გეგმებს გამოსვლებისას?

გადაავლეთ თვალი ერთხელ მაინც ბოლშევიკების გეგმებს თბილისის ხელში ჩაგდების შესახებ და თქვენ ამაში დარწმუნდებით.

ქალაქის არც ერთ კუთხე არ არის დაუთვალიერებლად დატოვებული. მოქმედი ქუჩები და დაწესებულებები, ჩვენი შეიარაღებული ძალა, სამხედრო მოწყობილობანი ქალაქში დახატული და ხელ აწერია—აჯანყების გეგმა თბილისში.

იმ გულდასმითაა შედგენილი ეს გეგმა, რომ წვრილმანებიც კი არის აღნიშნული. არის მაგ. ასეთი ადგილები:

ამა და ამ ქუჩაზე არის 160 რუსი, ყველა ჩვენი. 300 ქართველი. წრეში არის 8 ქართველი.

Штабъ народной гвардіи №. . раіона штатъ 300 человѣкъ—татары и армяне.

Пулеметная команда столько-то человѣкъ, въ томъ чилѣ, 2 товарища изъ школы красныхъ офицеровъ.

თვით ბოლშევიკური ძალების განაწილება, თუ ვის რომელი დაწესებულება უნდა ჩაეგდო ხელში ხომ არის და არის!..

აი ეს ხალხი მოითხოვს თავისუფალ პროპაგანდა-აგიტაციას.

ვის ატყუებენ? X.

ს.-დ. პარტიაში

ჭიათურა. 16 მარტს შედგა ჭიათურის კომიტეტის და მოწინავე ამხანაგების სხდომა ს. სხირტლაძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში: 1) ის. ხარატიშვილის და ლ. წერეთლის შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ; 2) ქალაქის თვითმართ. და თავის მოხამს. კავშირის შორის დამოკიდებულება; 3) მუშათა კოოპერატივი; 4) პარტიის წევრის მოვალეობა; 5) კოოპ. კავშირი; 6) რკ. გზის მუშა-მოსამსახურეების კრების დროის მოქმედება.

1) მოისმინეს ორივე მოპირდაპირე მხარეების მოხსენება, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ სამედიატორო სასამართლო არ შედგა და ამ ორ ამხანაგს შორის მომხდარ კონფლიქტს ბოლო არ მოეღო. როგორც ერთმა მხარემ, ისე მეორემ მიზნად დაისახეს თავმჯდომარის არჩევაზე ვერ შეთანხმდნენ. იქიდან რა მსჯელობა კომიტეტმა, იმ დასკვნამდის მივიდა, რომ თუ კომიტეტი არ ჩაერია ამ საქმეში, ის ბოლო არ მოეღება და დაადგინა: შედგეს სამედიატორო სასამართლო, მაგრამ პარტიული კი არა, არამედ ინტერპარტიული. სამ. სასამართ. თითოეული მხარე ნიშნავს ორ-ორ მედიატორს, ეს მედიატორენი კი თავმჯდომარეს იწვევენ. ამ რიგათ მხარეებმა დაასახელეს სამ. სას. წევრები: გ. წერეთელი, გ. ვაშაძე, სად. ა. კობიძე.

2) მოხსენებას აკეთებს ის. ხარატიშვილი: ქალაქის თვითმ. მოსამსახურეების პროფ. კავშირის გამგეობამ ქალაქ. თვითმ. გამგეობასთან ვერ გამონახა საერთო ენა და სხვა. მოისმინა რა მოხსენება ორივე მხრიდან კომიტეტმა დაადგინა: ქალ. თვითმ. პრ. კავშ. გამგეობამ და ქალაქის თვითმ. გამგეობამ იმუშაონ შეთანხმებულად და შესაძლებლობის ფარგლებში საერთო ენა გამონახონ.

3) მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ანთელიძე პრ. კავშ. საბჭოს კომისიის აზრს უზიარებს სხდომას. მსჯელობის დროს ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. პირველი იცავს კოოპერატივის ახლანდელ სისტემას, მხოლოდ იქიდან უპირები იქნან განდევნილი, რომ ამით კოოპერატივმა მიიზიდოს ფართე მასსა და თავის ოჯახათ დაისახოს. მეორე მიმდინარეობა: დარჩეს ეს კოოპერატივი ისე, როგორც არის. ე. ი. იყვნენ წევრებათ როგორც უპირები, ისე სხვებიცა. ამხ. ე. ანთელიძე იცავს პრინციპს მუშათა კოოპერატივისას, მაგრამ ძალების უქონლობის გამო ჯერ-ჯერობით ვერ ემხრობა, მხოლოდ გადახალისებას უჭერს მხარს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება: ადგილობრივ პირობების გამო მუშათა კოოპერატივს (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, როგორიცაა მარტო მუშებზედ საქონლის გაყიდვა) ჯერ-ჯერობით ვერ დავაარსებთ, ამიტომ—„ჩვენი ოჯახის" კოოპერატივი გადახალისებულ იქნას რაც გამოიხატება უპირების კოოპ. წევრობიდან გამორიცხვით და მოსაგებ პროცენტების ნაკლების გაწერით (მეორე წინადადებამ მეტი ხმა მიიღო).

4) უარყოფით გამოაცხადეს, რომ ის სტიქიები იმ პარტიას რომელსაც ეკუთვნით და გადმოდის ჩვენს პარტიაში. შემდეგ დაისვას კითხვა კომიტეტში.

5) დამატებითი მოხსენებას აკეთებს (იხ. „ერთობა" 76) ვ. თევზაძე კავშირის მოქმედების შესახებ სულ პირველათ თანხა ჰქონდეთ დაახლოვებით 2 700 მანეთამდე და დღეს მოგება აქვს 750,000 მანეთამდე (6 მილიონი ბრუნვისაგან) დასასრულ მოითხოვს მის განთავისუფლებას გამგეობის წევრობიდან. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგენილ იქნა ამხ. ვ. თევზაძის სამუშაო მიზეზები მიღებულ იქნას, მწუხარებას გამოთქვამს მისი წასვლის გამო და მის მოადგილეს გამოარჩევს მეორე კავშირის გამგეობის კომიტეტის მფარველობით.

6) მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. დოლიძე ბორჯგინიძე აღნიშნავს, თუ რანაირი გავლენა მოახდინა ალ. ვაშაკიძის (უტაქტო) მოქმედებამ, რომელმაც ეს ხათურგელი და სრულიად საქართველოს ამხანაგობა როგორიცაა გვარდიაში ჩაწერის საქმე მუშა-მოსამსახურეებისა. ჯგუფი კომისია წინა კრებაზე იყო არჩეული, განაგრძობს მოხსენებელი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ფერრეთის ამხანაგები ჩაეწერა გვარდიაში თანახმად კრების დადგენილებისა, მაგრამ ალ. ვაშაკიძემ ხელახლა მოიწადინა ამ კითხვის დასმა და წინა კრების დადგენილები უკანონოთ გამოაცხადა; ორივე კრებას, როგორც საქმის წევრი, თვითონ თავმჯდომარეობდა და პირველათ მან გაილაშქრა და ოპოზიციაში ჩადგა ამხანაგებს იმ დროს, როცა, პირიქით, მას როგორც მოწინავე ამხანაგს და კომიტეტის წევრს უნდა დაეცვა ამ კითხვის საბუთიანად ჩატარება. ყოველივე ამის შემდეგ მე მივმართე ალ. ვაშაკიძისაგან დაასახელოს მიზეზები თუ, რამ აიძულა ის, რომ ასე მოქმედებდა და თვითონაც არ ჩაეწერა გვარდიაში. ალ. ვაშაკიძე ამბობს: მე სიქვის წევრი ვარ და ჩვენ გვაქვს დადგენილება, რომ ადგილობრივათ კავშირის უნდა თავმჯდომარეობდეს სიქვის წევრი. მე უკანასკნელ კრებაზედ იმიტომ დავუყენე, რომ უმრავლესობა იყო შეღავათებით წინა კრებისა. შეკითხვაზე, თუ თვითონ რატომ არ ჩაეწერა გვარდიაში, ამბობს: მე არ ვიცი თოფის ხმარება, არ ვარ შეჩვეული და ამიტომ არ ჩავეწერეო. დიდი ხნის კამათის შემდეგ, რომლის დროს ძალიან ლანძღვებს ზოგიერთი ამხანაგებში, დადგენილ იქნა: მოისმინა რა მოხსენება რკ. გზის მუშა-მოსამსახურეების კრების დროს მოქმედება უტაქტოდ და წინადადება ეძლევა მას მიიღოს ენერგიული ზომები რათა ხსენებული საქმე (კითხვა) დაეყენებინა სასურველათ.

23 მარტს შესდგა კომიტეტის სხდომა, სადაც არჩეულ იქნა ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის თათბირზე დასასწრებლათ ამხ. გ. ა. ანთელიძე.

ძველი დარაჯი.

მუშათა შორის

თბილისი. 7 აპრილს შესდგა რკინის გზის მე-7 რაიონული კავშირების მუშების და მოსამსახურეების საზოგადო კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. პ. ინწკირველი, მდივნათ ამხ. ი. გაჩეჩილაძე. კრებამ მოისმინა მოხსენება სრულიად საქართველოს სახაზინო რკინის გზების მუშა და მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირების მთავარი კომიტეტის და პარიტეტული კომისიის წევრის ამხ. გძელიძის მოხსენება 8 საათის სამუშაო დღის გატარების შესახებ საქართველოს სახაზინო რკინის გზების მოძრაობის ფარგლში. მთავარი კომიტეტის წევრმა აღნიშნა: დაახლოვებით ათი დღეა, რაც დამუშავებულ იქნა სამუშაო დღის პროექტი, რომელიც გადაეცა შრომის სამინისტროს და რკინის გზის ადმინისტრაციას. ადმინისტრაციას წარმოუდგენია კავშირებისათვის და შრომის სამინისტროსათვის მეორე პროექტი. შეერთებული სხდომა პარიტეტული კომისიის და შრომის სამინისტროს წარმომადგენლებისა მოხდება ამ დღეებში.

მთავარი პროფესიონალური კავშირების წევრი გძელიძე მოახსენებს კრებას ხაშურის დეპოს მუშა მოსამსახურეთა ერთი ჯგუფის მიერ 23 მარტს, 1920 წ., გაფიცვის გამოცხადების შესახებ. 2 დღე ჯამაგირის დაგვიანების გამო ხაშურში ერთი ჯგუფი მოსამსახურეებისა გაიფიცა. მიუხედავად ამისა, რომ ლნ—ის მთავარი კავშირების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა ამხანაგმა, ამხ. ვიქტორ ცინცაძემ შეატყობინა, რომ თბილისიდან „არტელში" უკვე წავიდა ხაშურში ჯამაგირების დასარიგებლად, გაფიცვა მაინც გამოაცხადეს, რამაც მიმოსვლა შეაჩერა ერთი დღის განმავლობაში.

კრებამ დაადგინა ორი კვირის განმავლობაში რაიონულ, პროფესიონალური კავშირის კომიტეტის მიერ უნდა იქნას მოწვეული სრული თ. რკინის გზის მუშების და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელზედაც ლნ—ის წარმომადგენელი გააკეთებს მოხსენებას, მე 17 ბრძანების გადამუშავების შესახებ. საზოგადო კრება ითხოვს სრულიად საქ. სახაზინო რკინის გზების პროფესიონალური კავშირის მთავარ კომიტეტის წევრის ამხ. გძელიძეს, რომ მან პარიტეტულ კომისიაში დაიცვას 8 საათის სამუშაო დღის განხორციელება 1920 წლის 1 იანვრიდან.

ხაშურის მუშა-მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ საზოგადო კრებამ გაითვალისწინა რა, რომ არ იყო არავითარი საბუთი გაფიცვისათვის და მეორეც მიიღო მხედველობაში ის უწესობა, რომელიც დაატყდა თავზედ ჩვენ რესპუბლიკას მიწის ძვრის გამო, დაადგინა: იქნეს დაგმობილი ხაშურის დეპოს მუშა მოსამსახურეთა ჯგუფის ანარქიული გამოსვლები, მათი ქცევა შეითვალოს ღალატად, როგორც რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა ნორმა კავშირისადმი, აგრეთვე ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, და მოითხოვს დეზორგანიზატორების ჯეროვან დასჯას. საერთო კრება საჯაროთ აცხადებს, რომ მას ყოველთვის დაუშვებლად მიაჩნია რაიმე ორგანიზაციული გამოსვლები, ვისი ხელმძღვანელობითაც ის არ უნდა იყოს და დამნაშავენი უნდა იქნენ გაძევებულნი ჩვენი წრიდან.

ს. ჩ—ძე.

პროვინცია

მეაბრეშუმეობაზე.

ამ ბოლო ხანში ბევრს სწერენ მეაბრეშუმეობის შესახებ. მთავრობას სურს წაახალისოს მეაბრეშუმეები და ის ამ საქმეზე ბევრ კარგს გვპირდება,—მაგალითად, სალ თესლს, სესხს და სხვ. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ყველაზე საჭირო ის არის, რომ ჩვენს მეაბრეშუმეებს უნდა მიეწოდოთ თესლი, აი რა ნაირად: სულ ყველა წვრილი თემის სოფლობით გამგეობასთან, სადაც მეაბრეშუმეობას მისდევენ, უნდა შედგეს კომიტეტი და ამ კომიტეტმა უნდა დაურიგოს მეაბრეშუმეებს აბრეშუმის თესლი იმ პირობით, რომ ვისაც მოსავალი მოუვა, მოსავლიდან გადაუხდის იქნან თესლის ღირებულება, ხოლო იმათ, ვისაც მოსავალი არ მოუვა, მათ იგი ეპატიება და შრომა დაეკარგება, არაფერი გადაიხდეს.

ამ ნაირი სისტემით ჩვენ იმას მივაღწევთ, რომ მასიური წილი იქნება მეაბრეშუმეების მიერ თესლის და თესლი თუ ბევრი წავიდა სოფლად,—მოსავალიც ბევრი იქნება. ბევრნი იტყვიან—განა ხომ ფული სოფელში ბევრია და ვისაც უნდა თესლის შეძენა, ის ფულსაც იოლად იშოვის. ეს ასე არ არის. სოფელში აბრეშუმი ჩოეყავთ, (ჩვენში რაციონალური მეაბრეშუმეობა არ არის,) მარტო-მარტო დედა კაცთ და მამა კაცი კი ყანის მუშაობაში არის გართული. მე, როგორც ახლო მცოდნე სოფლის მცხოვრებთან, გამოცდილებით ვიცი, რომ სოფლის ოჯახში რომ დაიბადება აზრი აბრეშუმის თესლის შეძენისა, დიასახლისი მისი შესაძენათ ითხოვს ფულს ოჯახში მამა კაცისაგან. ზოგიერთი მამაკაცი, (თუ ცა-და ძალიან ძვირად), დაეთანხმება და გამოიტანს ფულს თესლის შესაძენათ, მაგრამ უფრო უმრავლესობა ნი უარზე დგანან და იტყვიან, ახლად გამოიტანი, რა საჭიროა, ასე ძვირია თესლი და რომ მოვიდეს მოსავალი, აბრეშუმს იმდენი ფასი არ ექნება, რომ მუშაობამ ღირდეს და ამით თავს ანებებენ ამ დიდად მნიშვნელოვან საქმეს.

მინახავს ხშირად ოჯახში დედა მამამ უარი სთქვას თესლის შეძენისა და მომწიფო ქალიშვილები ხშირად უკმაყოფილონი გამოსულან ასეთი გადაწყვეტილებისა დი რადგან მათ სურდათ და ფული ჰქონდათ აბრეშუმის მოყვანა, ისინი ვინმე მეზობელს შეამხანაგდებიან და იქ მოეყვანათ აბრეშუმი. ასეთი მდგომარეობაში მარტო ქალიშვილები კი არ არიან, ხშირად ოჯახის დიასახლისი უფრო მდგომარეობაში ვარდება, ვინაიდან მას არ დართო ნება მამაკაცმა თესლის შეძენისა, (ეს იგი, არ გაიღო სამისო ფული); ხშირად გამიგონია მამაკაცთა აზრი: თესლის პატრონს ნაღდათ უნდა მივცე ფული და რომ არ მოვიდეს მოსავალი, ხომ ნაღდი ფული წყალში გადაგვიყრია და შრომაც ზედ დავუმატეთ. გამოსავალი უკმაყოფილო ოჯახის დედის და ქალიშვილების ხშირად ის ყოფილა, რომ ისინი თვალ-ყურს ადევნებენ ბაზარში თუ ვინმეს აქვს დარჩენილი გაუყიდავი აბრეშუმის თესლი თავზე გადასაყრელი რომლის პატრონი იძულებული იქნება თესლი ნისიათ მისცეს იმ პირობით, რომ თუ მოსავალი მოუვიდა მაშინ გადუხდიან, ბოლოს ესენი ხან კი შეხვდებიან ასეთ თესლს ...ან ხშირად უთესლოდ რჩებიან ეს პატრონანი და მშრომელნი პირნი. ეგეც მისაღებია ყურადღებაში, რომ მასსას გაჭირვები აქვს ტრფენაში—თუ რომ მას აწვდიან თესლს პირობით ესე იგი, თუ მოუვა მოსავალი, მერე წაიღებენ მისგან საფასურს თესლისას, ის დიდი ინტერესით ეკიდება საქმეს და თესლი მიაქვს უფრო მეტყავად, რომ ის დარწმუნებულია მისი თესლი კარგია. კარგი თესლი რომ არ იყოს, საცდელად რაც მომწოდებელნი ის ამბობს. ყველა ამების შემდეგ განმეორებით ვიტყვი, თუ რომ თესლს ჩვენ მეაბრეშუმეებს დაპირებით მოსავალზე გასასტუმრებლად, დიდ ნაყოფს მივიღებთ. იმედია მეაბრეშუმეებიც გამოსთქვამენ თავის აზრს ამ ჩემ წერილზე.

თეოფანე მედიკონის ძე ძველაძე.

დ. აბაშა, 10 აპრილი.

გორი. ამ უკანასკნელ დღეებში გორის გამოცოცხლება ეტყობა. გახიზნული ხალხი თანდათანობით უბრუნდება გორის ნანგრევებს. თუმცა მიწის ძვრა გრძელდება.

დღემდის ნანგრევებისა და სიცივის გარდა სამარისებური სიბნელეც სუფევდა და იმ თითო ოროლა თავგანწირულ მოქალაქეთაც, რომელნიც აქ დარჩნენ, ღამე ქუჩაში გამოსვლისას შიშის ზარსა სცემდა, მაგრამ აქაურმა ელექტრონის საზოგადომ განაახლა მოქმედება და ქალაქის ნანგრევებიც განათდა.

ქ. გორში შესდგა სახლის პატრონთა კავშირი სახელწოდებით „პატრონი", რომლის მიზანია გორის ადგილობრივ დაზარალებულ მესაკუთრეთ ერთგვარი დახმარება აღმოუჩინოს.

ქ. გორში შესდგა უბინაოთა კავშირი სახელით „ბინა", რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს იმ პირთ, რომელნიც დაკავშირებულნი არიან გორზე ან სამსახურით, ან ხელობით, ან ვაჭრობით, ან ბავშვების სწავლით და მიწის ძვრის გამო ბინის საშუალება წაერთვათ, ვინაიდან თანამედროვე სოციალური პირობების გამო გასაქირავებელ ბინას არავინ არ აპირებს აგებს და ძალაუნებურად ბინა უნდა აიგონ.

31 მარტს შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა შ. კობერიძე, მდივნობდა ა. ლაშქარი. სხდომაზე მრავალი საჭირო-მორიგო საკითხი შორის იდგა. 1) ქალაქის თავის შ. ჯაფარიძის გადადგომა, 2) გამგეობის წევრის ა. ტერ-სტეფანოვის გამგეობიდან გასვლა, 3) ქალაქის საჭიროებისათვის საჭირო სესხის აღება, 4) ქალაქის თავის არჩევნები და სხვ... ქალაქის თავის შ. ჯაფარიძის თხოვნა გადადგომის, საბჭომ მიიღო. გამგეობის წევრის ა. ტერ-სტეფანოვს სთხოვა საბჭომ დარჩენილიყო, მაგრამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა ავადმყოფობის გამო.

სესხზე საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ერთი მილიონი მანეთის სესხათ აღებისა ქალაქის გასავლის და მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ, ვინაიდან ამ მდგომარეობაში ქალაქს არავითარი შემოსავლის წყარო არ მოეპოვება.

ქალაქის თავათ არჩეულ იქნა გ. ი. ბადრიშვილი, რომელზედაც ამბობენ დიდი მეცადინე და ინიციატივის კაცია, ჩვენ დანგრეულ გორსაც ხომ ეს უნდა? ვნახოთ..

— 4 აპრილს ტყვიავის თემში (გორის მაზრა) სოფ. ფლავისმანში გაემგზავრა დამფ. კრ. წევრები ნ. გაბლიშვილი და ვ. ტატიაშვილი, მათ ახლდათ გორის სამაზრო ერობის წარმომადგენელი ი. რუხაძე, ტყვიავის თემის წარმომადგენელი გ. ხანიშვილი, ფლავისმანისა და ვალიანთ-კარის არჩეული კაცები, ამათი მიზანი იყო იმ დავისა და უთანხმოების მოგვარება, რომელიც ფლავისმანელებმა და ვალიანთ-კარელებს შორის 1914 წლიდან გრძელდება,—საქმე შემდეგშია: 1902 წელს მემამულე კოტე ერისთავს ფლავისმანელების მახლობლათ თავის მამულზე ჩამოუსახლებია სოფელ ზონკარიდან (დუშეთის მაზრა) 16 კომლი ოსი (ახლა უკვე 25 კომლია) საიჯარო უფლებით, რომელთაც გაუმართავთ რა სახლ-კარი მთა დრეზე, გაუჩეხიათ ახოები, გაუკეთებიათ ბილიკ გზები და როცა ცოტათი მამული დამსგავსებია რამეს, იგივე მემამულეს მიუყიდნია 1914 წ. ფლავისმანელებისათვის; აი ამის გამო იყო დაუსრულებელი დავა, როგორც ადგილობრივ, ისე მთავრობის დაწესებულებებში, ვინაიდან ერთნი ნაყიდობით აცხადებდენ უფლებას და მეორენი კი ფაქტიურათ ფლობდნენ. ერთი სიტყვით ამ საქმეში ყველა დაიღალა ძველი მთავრობის დროს, ახალი მთავრობის, „აქამდე ჩაერია აგრარული კომისიები, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოაგვარეს, ახლა კი ამ უკანასკნელად დამფუძნებელი კრების წევრებმა და მათმა მხლებლებმა გამონახეს მათი შეთანხმებული გზა და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თუ საბოლოოთ არა, დროებით მაინც მისცემს ბოლოს მათ შორის უთანხმოებას, საბოლოოთ კი, ამ საქმეს მოაწესრიგებს საფონდო მამულების განმაწილებელი კომისია, ვინაიდან ეს სადავო მამული მთლიანათ სახელმწიფო ფონდშია გადასული.

X.

თეატრი და ხელოვნება

„ელდონირა" ალ. ყაზბეგიდან გადმოკეთებული დრამა 3 მოქმედებით ქ. გურგენელის მიერ.

თბილისის მუშათა კლუბში აპრილის 3-ს პირველად დაიდგა ქ. გურგენელის მიერ გადმოკეთებული პიესა ა. ყაზბეგის მოთხრობა „ელდონირა". სანოვანოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტად ძნელია მოთხრობის პიესად გადმოკეთება და ამ მხრივ მეტ კარგ დრამატურგების ცდას ხშირად უნაყოფოდ ჩაუვლია. ამ მხრივ გურგენელის შრომას ნაკლი ბევრი ეტყობა და მის მიერ გადმოკეთებული „ელდონირა" მეტად სახიომოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელებზე.

ყაზბეგის მოთხრობიდან აქ მხოლოდ დარჩენილა შინაარსი, ფაბულა, თუ ალ. ყაზბეგმა პატარა მოთხრობა „ელდონირა"-ში მოახდინა მთიელთა ზნე ჩვეულებანი: გულადობა, თავმოყვარეობა, სტუმრის პატივისცემა, მტერთან მტრობა... სამაგიეროდ, გურგენელმა ის ლამაზი სტილი აკინძა და სახეებით ჩამოყალიბებული ხასიათების სცენაზე სახილველად წარმოდგენისა.

აღნიშნულ პიესაში მთლიანად დაცულია მთიელთა თავმოყვარეობა, სიყვარულის ძალა, და მისთვის თავგანწირვა, გზირობა შეურაცხყოფისთვის, შურის ძიება და სხვა.

შემსრულებელთა შორის ი. ჯულელს (ვახტანგ ხელთუბნელი) არა უშავდა. საერთოდ კი მან ვერ შესძლო დაეძლია პასუხსაგები როლი. რეპლიკებთან მიმართ ვერ იყო შეფარდებული. მარ. კალანდაძისა (ელგონირა) ამ პიესის მთავარი აღმასრულებელია და როლიც ფრიად პასუხსაგებიც. ეტყობოდა, რომ მ. კალანდაძისა ამ უკანასკნელს გრძნობდა, მაგრამ ზოგ ადგილს მან როლის სირთულეს ვერ სძლია.

დ. ბედუშვილი (ახლან გირეი) მსახიობია და მას მეტი მოეთხოვება. არ იცოდა როლი, ზოგჯერ მას ავტორის მონოლოგებში თავისი სიტყვები შეჰქონდა, ხშირად იმეორებდა იმერულ კილოს „რამე", რაც მის სიტყვებს ძალზე აფუჭებდა. უკანასკნელ მოქმედებაში არა უშავდა. ქ. კრავეიშვილი (ლ. კრევეიშვილი) კარგი იყო, მან რამდენიმეთ მაინც შესძლო გადმოეცა სულით მაღალი, გამოუწრთობელი ხინჯის, ყველაზე აზნაური [illegible] აღმაფრენის ტიპი. კარგი იყო ის და ტიპიურიც პირველ მოქმედებაში. სასცენო ნიჭი ემჩნევა, ხმაც მეტს უწყობს. შ. ლეკიშვილს (ისმაილ) ის მესაფერი განსახიერება იყო. უნდა ერიდოს მხოლოდ ხელების უმალოდ ქნევას. საერთოდ პიესა გვარიანად ჩატარდა, მოველოდით კი მეტს.

დ. ბაიხოშვილი.

წერ. რედაქციის მიმართ

მოვისმინეთ რა „ერთობის" მე-№ 40 მოთავსებული წერილი მთავარ სახელოსნოს მუშების შესახებ, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, თითქოს ამხანაგი მ. ყ. ბოლშევიკური რწმენის მოხზაიდ და მათი ამყოლ-დამყოლი იყვნენ,—ჩვენ ერთი განყოფილების მოწინავე წრე მენშევიკი მუშებისა ვაცხადებთ, რომ ამხ. მ. ყ. არ არის ბოლშევიკური რწმენის. პირიქით, მოწინავე სოციალ-დემოკრატ-მენშევიკური ლოზუნგებისა და ჩვენს შორის ითვლება ერთ საუკეთესო მუშად.

მთავარ სახელოსნოს ერთი განყოფილების ს. ს. დ. მ. პ. მოწინავე წრე მენშევიკი მუშებისა.

განცხადებანი

კბილის ექიმი

ე. თ. დორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

და მისი ასისტენტი მ. ა. დიდიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს და სწმენდენ პირში სუნს. ავათმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ და საღ. 4—6 საათ. ანასტასიას ქუჩა № 13. (ნ. 24—1)

მედიცინის დოქტორი

ივ. ლოლაძე

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიღება საღამოს 4—7 საათ. მიჩნიკოვის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5. პლეხანოვის პროსპექტის შესახვევში. (1259—24—1)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—1)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

იღებს სპეციალურად: სიფილისით (შეხამ 606—914) ვენერიულ და საშარდე ორგანოებით სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. დავითიშვილის ქუჩა № 72, ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (1224—ო.)

თბილისში

ექიმი აბაშიძე

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, პლექსს ატარებს „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 336.)

ექიმი ქალი

მ. მ. ალფეევი

წყნეთის ქუჩა № 33. იღებს ყოველ დღე 12—2 საათამდე 6—7. სპეციალურად სანებით ქალების ავადმყოფობა და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი [illegible]

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, [illegible] აფთიაქის ახლოს.

განცხადება

გზათა დეპარტამენტი აცხადებს ყველა დაინტერესებულ რესპუბლიკის სახაზინო, საერობო, ქალაქების და კერძო სამრეწველო წარმოებათა და პირთა საყურადღებოთ შემდეგს:

ტყიბულის მაღაროებიდან ქვა-ნახშირის მისაღებად

სამრეწველო დარგებმა, რომელნიც მუშაობენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, უნდა წარმოადგინონ გზათა დეპარტამენტში მოწმობა—სახელმწიფო სამრეწველოებმა სათანადო სამინისტროებისაგან, კერძომ კი ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის, სამაზრო ერობების და ქალაქის თვითმმართველობათაგან. მოწმობაში მტკიცეთ უნდა იყოს აღნიშნული თვიური საჭიროება ქვანახშირისა ამა თუ იმ სამრეწველოსათვის. კერძო პირი ანუ სამრეწველო, რომელნიც მუშაობენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეშე და მასთან გემები, რომელნიც სდგანან რესპუბლიკის ნავთსადგურებში, ღებულობენ ქვა-ნახშირს მომარაგების სამინისტროსაგან, რომელსაც ისინი მიმართავენ სათანადო თხოვნით.

კერძო პირებზე ქვანახშირის გაყიდვა, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, აგრეთვე მის გარეშე, ხდება მომარაგების სამინისტროს მიერ და ამ ხასიათის თხოვნები გზათა დეპარტამენტის მიერ განხილული არ იქნება. (ნ. 1—1)

[illegible] სტამბა ვ. [illegible]. [illegible] № 1.